ეროვნული ბიბლიოთეკა

[illegible] სოციალდემოკრატიული „ერთობა“ გაზეთი

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

შაბათი, 5 აგვისტო 1917 წ.

ერთობა

„თანამედროვე აზრის“ სტამბა

ფასი 12 კაპ.

გაზეთის ფასი: თვიურად 2 მან. 60 კაპ., თითო ნომერი 12 კაპ. კანტორა „განათლებიდან“ აგენტებს დაუთმობს 9 კაპ. [illegible] განცხადების ფასი: [illegible] — 30 კაპ. [illegible] — 15 კაპ.; [illegible] 5 [illegible] — 6 მანეთი. [illegible] წერილები არ დაიბეჭდება. [illegible]

ფულის [illegible] უნდა გამოეგზავნოს: Тифлисъ почт. ящ. 199. Власію Малакіевичу Вохохадзе. სხვა ადრესით გამოგზავნილ ფულს რედაქცია არ მიიღებს.

რედაქციაში პირადი მოლაპარაკება შეიძლება 10—12 საათ. რედაქციისა და კანტორის ადრესი: თფილისი, გოლოვინის პრ. № 12. (Тифлисъ Головинскій пр. № 12).

ტელეფონი 16—62.

№ 115 ორგანო ამიერ-კავკასიის სოციალდემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა. № 115

გამოუთქმელ მწუხარებაში მყოფნი: მერაბ გიორგის ძე კილასონია, ნიკოლოზ და ანტონ მერაბის ძენი კილასონიები, ქალიშვილი მერაბის ასული ჩოგოვაძისა, ზინა არჩილის ასული კილასონიასი და შალვა იაკობის ძე ჩოგოვაძე აცნობებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობრებს პირველი უსაყვარლესი შვილის, მეორენი და მესამე ძმის, მეოთხე მაზლის და მეხუთე ცოლისძმისას სამხედრო ექიმის

ანდრო მერაბის ძე კილასონიას

გარდაცვალებას, რომელიც მოხდა 11 ივლისს, ქ. კიევში.

უკანასკნელი გამოთხოვება და დაკრძალვა მოხდება ქ. ქუთაისში შაბათს, 5 აგვისტოს საფიჩხიის სასაფლაოზე საღამოს 5 საათზე. პანაშვიდები ყოველ დღე საღ. 7 ს. გენერლის ქუჩის შესახვევი, საკუთარი სახლი.

საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლიუციო პარტიის ქუთაისის გუბერნიის კომიტეტი ამით სამწუხაროთ აცხადებს, რომ კვირას, 30 ივლისს ნაშუადღევს 1 საათზე გარდაიცვალა

გიორგი ფილიპეს ძე ზდანოვიჩი

გამოსვენება დანიშნულია ქუთაისში, ოთხშაბათს, 9 აგვისტოს, დილის 10 საათზე საკუთარი ბინიდან.

კვირას, 6 აგვისტოს, დილის 10 საათზე დანიშნულია

თფილისის კომიტეტის რ. ს.-დ. მ. პ. კრება

გოლოვინის პროსპექტი № 12. ✦ ამხანაგებს სთხოვენ არ დაიგვიანონ.

კვირას, 6 აგვისტოს, საღამოს 7 საათზე დანიშნულია

შეერთებული კრება

საოლქო და თფილისის კომიტეტების და ყველა რაიონულ კოლექტივების რუსეთის სოც.-დემ. მუშათა პარტიისა.

მეოთხე რაიონის კოლექტივის ბიუროში (ლორის-მელიქოვის ქუჩა № 12)

კვირას, 6 აგვისტოს, საღ. 8 საათზე. თფ. ვაჟთა 1-ლ გიმნაზიის დარბაზში შესდგება ამიერ კავკასიის მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოთა აღმასრულებელ კომიტეტის სოციალ-დემოკრატიულ ფრაქციის

კრება

ვინაიდან კრებაზე მეტად საყურადღებო საკითხებია გასარჩევი, ამიტომ ვთხოვთ ამხანაგებს უეჭველად დაესწრონ და არ დაიგვიანონ.

ფრაქციის ბიურო.

კავკასიის საოლქო აღმასრულებელი კომიტეტი

მუშათა, ჯარის-კაცთა, გლეხთა დეპუტატების საბჭოებისა

მოთავსებულია სასახლეში, ყვითელ ზალაში.

პრეზიდიუმის შემადგენლობა:
- თავმჯდომარე ე. პ. გეგეჭკორი
- თავ. ამხანაგი დ. დ. დონსკოი
- „ „ ნ. გ. რამიშვილი

პრეზიდიუმის წევრები: ნ. ფ. ვერეშოვი, ი. ა. ბეკზადიანი, კ. გაზაზიანი, ს. ზვინადლოვი, ი. ი. იდაშკინი, ნ. ა. თარხანოვი.

მოხსენებათა მიღება ყოველ დღე დილ. 10—12 საათამდე. ტელეფ. № 4—90.

საოპეკო კომისია ყოფილი პოლიციის კოოპერატივისა

ამით აცხადებს, რომ კვირას, 6 აგვისტოს დილის 11 საათზე, მეოთხე ვაჟთა გიმნაზიის შენობაში (ბულგარის ქუჩა № 8) დანიშნულია კოოპ. წევრთა

საერთო კრება

დღის წესრიგი: 1) კოოპერატივის რეორგანიზაცია, 2) წესდების დამტკიცება, გამგეობისა და სარევიზიო კომისიის წევრთა არჩევნები.

გამოვიდა და იყიდება **ლეო ქიაჩელის**

მოთხრობა 1905 წლის რევოლიუციონურ მოძრაობიდან

ტარიელ გოლუა

გამოცემა ავტორისა. წიგნის გავრცელების საქმე მინდობილი აქვს კანტორა „განათლება“-ს. ფასი 2 მანეთი აგენტებს თვითეულ 30 ცალ წიგნზე დაეთმობა ცალზე 25 კ. ნისიად წიგნი არავის არ გაეგზავნება.

დიდი მიტინგი და ლიტერატურული საღამო პროვინციაში.

კვირას, 6 აგვისტოს ქ. სამტრედიაში

ნაშუადღევის პირველ საათზე გაიმართება

დიდი მიტინგი

ილაპარაკებენ თფილისიდგან ჩამოსული ორატორები.

მიტინგის შემდეგ გაიმართება

გ. ქუჩიშვილის ლიტერატურული საღამო

I გან. ამხ. ალ. ლომთათიძე წაიკითხავს ლექციას თანამედროვე მომენტზე.

II გან. მონაწილეობას მიიღებენ ამხ. გ. ქუჩიშვილი, დ. მეჩონგური და სხ.

III გან. წარმოდგენილი იქნება ამხ. ვ. რუხაძის ახალი დრამა „ოქროს კერპი“.

საღამოს დასაწყისი და აგრეთვე დაწვრილებითი ცნობები გამოცხადებულ იქნება აფიშებში.

საოლქო კომიტეტის გამოცემანი.

(საწყობი კომიტეტის ბიურო, გოლოვინის პროსპ. № 12).

1. ს. დ. პ. პროგრამა ქართულად	10 კ.
2. ს. დ. პ. პროგრამა რუსულად	10 „
3. ს. დ. პროგრამა სომხურად	10 „
4. ს. დ. პროგრამა თათრულად	10 „
5. მუნიციპალური პროგრამა რუს.	5 „
6. მუნიციპალური პროგრამა ქართ.	5 „
7. ძირს სოც. დემ. [illegible] რუს.	20 „
8. სოც.-დემ. და ქალაქის თვითმართველობა რუსულად	20 „
9. [illegible] წიგნაკი ქართულად	20 „
10. ოთხი ძმა ქართულად	35 „
11. კომუნისტური მანიფესტი რუს.	20 „
12. კომუნისტური მანიფესტი ქარ.	25 „
13. დემოკრატიული რესპუბლიკა ქარ.	25 „
14. დამფუძნებელი კრება რუსულ.	25 „
15. ნ. ჟორდანია—ნაც. კითხვა ქართ.	30 „
16. კრიტიკა აგრარული პროგრამისა პ. მასლოვისა, რუს. ენაზე ფასი	15 „
17. უწყება, მე-6 საოლქო თავყრილობისა (კონფერენციისა) რ. ს.-დ. მ. პ. ქართ. ენაზე ფასი	25 „
18. იგივე უწყება რუსულ ენაზე ფასი	20 „
19. დროებითი წესები ქალაქის სახ. ხმოს. არჩევნებისა ქართ. ფასი	10 „
20. რა უნდათ სოციალ-დემოკრ. რუს.	20 „
21. რა უყოთ მიწას პ. მასლოვისა, რუს.	

იბეჭდება და მალე გამოვა:

1. საფრანგეთის ისტ. 1848 წ. ნ. ჟორდანიასი.

ამასთანავე ვაცხადებთ: პროვინციელ ორგანიზაციებს დავუთმობთ, რომლებიც 50 ცალ ნაკლებს არ გამოიწერს ოცი პროცენტი იქ სადაც წაღებით არ შეიძლება გაგზავნა, არამედ ფოსტით უნდა იქნას გაგზავნილი, პროცენტი ეთმობათ 15 კ. მანეთზე. ფული უნდა იქნას წინადაწინ გამოგზავნილი, [illegible] ბროშურები არავის გაეგზავნება.

ამხანაგებო! გამოიწერეთ ბროშურები, გაავრცელეთ ხალხში, რომ ამით საშუალება მოგვეცეს სხვადასხვა ახალი ბროშურები გამოვცეთ და გავავრცელოთ ხალხში.

ფული და წერილები მიიღება შემდეგი ადრესით: Тифлисъ. Бюро областного комитета закавк. организацiи Р. С. Д. Р. П. Головинскiй № 12.

თფილ. ორგან. რ. ს. დ. მ. პ. ბიუროები მოთავსებულია:

1) პირველი რაიონი: ნაძალადევში, ბოტის სახლში, ღიაა დილის 10—1 საათამდე და საღამოს 5—8 საათამდე.

2) მეორე რაიონი: სახალხო სახლი. ღიაა დილის 10—2 საათამდე და საღ. 5—8 საათ.

3) მესამე რაიონი: (ავლაბარი, ორთაჭალა, ნავთლუღი) ავლაბრის კლუბში, (კახეთის ქუჩა № 1), ღიაა დილ. 9-დან საღ. 9 საათ.

4) მეოთხე რაიონი: ქალთა პირველი გიმნაზია, (ლორის მელიქოვის ქუჩ.) ღიაა 10—3 და 5—7 საათამდე.

ბიურო

თფილისის კომიტ. რ. ს. დ. მ. პ. მოთავსებულია გოლოვინ. პროსპ. № 12. ღიაა დილის 9—2 საათ. საღამ. 5—8 საათამდე.

ბიურო

ალექსანდროპოლის კომიტეტისა რუს. ს.-დ. მუშათა პარტიისა მოთავსებულია მუშათა საბჭოს ბინაზე ალექსანდროპოლის ვაგზალთან. ბიურო ღიაა დილის 10—12 ს. და საღამოს 4—6 საათამდე. აქვე მიიღება ახალი წევრები.

კავკასიის მუშათა და გლეხთა საბჭოების ცენტრის კანცელარია მოთავსებულია სასახლეში (სპარსულ დარბაზში).

კანცელარია ღიაა დილის 10—2 ს. და საღ. 6—8 ს.

თფ. საქონლის სადგურში

იყიდება სხვა და სხვა ბროშურები

გამოცემა საოლქო კომიტეტისა.

მსურველს შეუძლია მიმართოს

საშა ნიჩოგიძეს.

ქ. ქუთაისში.

ექიმი მ. ი. ჩხენკელი

იღებს ბავშვთა და შინაგანი სნეულებით ავადმყოფებს ყოველ დღე, დილის 9 საათიდან —1 საათ. საღამოს 5—8 საათ. ქუთაისი, ბულვარის ქ., ბაქრაძის სახლი.

ექიმი ივანე თიკანაძე

იღებს ავადმყოფებს საღამოს 5—7 საათამდე. მისამართი: კირპიჩნის ქუჩა, 18, ტელეფონი № 11—82.

საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის გამო.

დროებითმა მთავრობამ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის შესახებ განსაკუთრებული კანონი გამოსცა.

საეკლესიო ორგანიზაცია ქართულ ნიადაგზე იქნება აშენებული და საქმის წარმოება ქართულ ენაზე იქნება შემოღებული.

აქ საეკლესიო ანუ სარწმუნოების საკითხში არსებითი ცვლილება არ მომხდარა. იგი ჩვეულებრივ იერარქიულია, იგი კვლავ სახელმწიფოებრივ სარწმუნოებათ არის გამოცხადებული და სამღვდელოების შენახვა, მათი ფინანსიური უზრუნველყოფა სახელმწიფოზეა დაკისრებული.

მას შემდეგ რაც ქრისტიანობამ სახელმწიფოებრივი სარწმუნოების ხასიათი მიიღო და იგი სახელმწიფოს ხელში გაბატონებული კლასების რწმენათ გადაიქცა, მუდამ და ყოველთვის ფართო დემოკრატიის წინააღმდეგ ისეთივე ბრძოლის იარაღათ იხმარებოდა, როგორც მილიტარიზმი, პოლიცია, კლასიური სასამართლო და სხვა. ქრისტიანობამ უკვე პირველ საუკუნეებში დაჰკარგა თავისი დემოკრატიული ხასიათი და იგი ხალხის გონების სიბნელისა და დამონების უძლიერეს იარაღათ გადაიქცა.

ოფიციალური ქრისტიანული სარწმუნოება კლერიკალიზმის განვითარებას, გონებრივ გამოფხიზლებას ძლიერ [illegible] და მთელი განათლებული კაცობრიობა მთელ საუკუნეთა განმავლობაში სიბნელის ბურუსში გახვია.

სარწმუნოებამ რწმენისა და სინდისის ხასიათი დაჰკარგა და იგი ოფიციალურ რელიგიათ გადაიქცა. ამ შემთხვევაში კერძო ადამიანის ინდივიდუალური რწმენა, სინდისის საქმე გაბატონებული კლასები ქრისტიანული სარწმუნოების, ეკლესიის სახით ჯალათათ მიუვლინენ და რწმენის თავისუფლება არარათ აქციეს. ამიტომაც არის დაბალი კლასების იდეოლოგები მისი ხელმძღვანელები სარწმუნოების კერძო საქმეთ გამოცხადების მოთხოვნით და ეკლესიის სახელმწიფოსაგან განცალკევებას ელტვიან. აი ის დევიზი, რომელიც საერთაშორისო დემოკრატიამ სარწმუნოების საკითხში თავის დროშას წააწერა და მის ცხოვრებაში გატარებას მოითხოვს.

ამ მხრივ რუსეთის რევოლიუცია საეკლესიო დროით უნდა ჩაითვალოს. სამწუხაროთ დროებითი მთავრობის დეკრეტი სულ სხვა ნიადაგზეა დაფუძნებული, ჯერ ერთი, საქართველოს ეკლესია ისევ ემორჩილება რუსეთის ბიუროკრატიას. მეორეც, ეკლესიის შენახვა ისევ სახელმწიფოს საქმეთ რჩება. ქართული ეკლესია ძველებურათ სახელმწიფოებრივ სარწმუნოებათ რჩება.

რევოლიუციის ხანაში ახალი ნაბიჯი გაუბედავია და მას ფართო დემოკრატია ვერა დროს ვერ მოიწონებს. საფრანგეთის 1871 წლის რევოლიუციის დროს პარიზის კომუნამ, სადაც პროლეტარიატის და მუშათა კლასის პოლიტიკა ბატონობდა, უპირველეს ყოვლისა სინდისის თავისუფლება გამოაცხადა და განსაკუთრებული დეკრეტის საშუალებით ეკლესია სახელმწიფოს გამოყვეს და სრული სინდისის თავისუფლება აღიარეს.

სწორედ ახლა, როცა რუსეთის დემოკრატია ამ რევოლიუციის ხანაში—უძლიერეს რევოლიუციონურ ორგანოებით არის აღჭურვილი, საჭირო იყო ეკლესიის სახელმწიფოსაგან განცალკევება.

აგრეთვე დემოკრატია მოითხოვს ეკლესიაზე ბიუროკრატიის გავლენის მოსპობას. არავითარი ბიუროკრატიული ოპეკა ქართულ ეკლესიაზე და მისი სახელმწიფოსაგან განცალკევება—აი ქართველი დემოკრატიის მიზანი.

ქ. თელავის ამრჩეველთა მიმართ.

ხვალ, კვირას ქ. თელავს ხმოსანთა არჩევნები მოხდება. ამ დღეს უნდა გადასწყდეს, ვის აბარებს თავის ბედს თელავის დემოკრატია.

დღემდის ქალაქი შოვინისტური პლუტოკრატიის ხელში იმყოფებოდა. ქალაქის თვითმართველობის თავის ინტერესებისათვის გამოყენება და ბატონობის შესანარჩუნებლად ერთა შორის შუღლისა და მტრობის გაღვივება—აი რა ახასიათებდა თელავის პლუტოკრატიას. ის ყოველი ძალ-ღონით ცდილობს ქალაქის თვითმართველობის კვლავ [illegible] დაპატრონებას. ამ შემთხვევაში მას სხვა ნაციონალისტური პარტიებიც ცდილობენ. გარდა სომხის დაშნაკცუთიუნისა ქართველი ფედერალისტები და ნაციონალ-დემოკრატებიც ამოძრავდნენ და ხალხს თავისუფლებას ჰპირდებიან.

ამხანაგებო და მოქალაქენო! კვირას თელავის დემოკრატიის ძალა გავლენა გამოირკვევა. თუ ქალაქს კვლავ პლუტოკრატია და შოვინისტური პარტიები დაეპატრონენ, ეს იქნება დემოკრატიის დამარცხება და თქვენი ინტერესების ფეხ-ქვეშ გათელვა. პლუტოკრატია და შოვინიზმი ხალხს ათასგვარ უბედურებას უქადის.

თუ თქვენ ხმა მიეცით დაშნაკცუთიუნის პარტიას, რომელიც მუდამ სასტიკი მტერია დემოკრატიისა და ეროვნული შუღლის გაძლიერებას ემსახურება, ამით თქვენ თვითმართველობას დაასამარებთ და რევოლიუციას დაამუსრავთ. თუ თქვენ ხმა მიეცით ქართველთა ნაციონალისტურ პარტიებს, ეს იქნება ერთა სოლიდარობის დამარხვა და ქალაქში სრულიად [illegible] გამეფება.

მხოლოდ სოციალ-დემოკრატიული პარტია იცავს ხალხის ინტერესებს. ეს მან დაამტკიცა თავისი 20 წლის მოღვაწეობის დროს. სოციალ-დემოკრატიული პარტია მეთაურობს რუსეთის რევოლიუციას და მის განმტკიცებას ემსახურება. სოციალ-დემოკრატია აერთებს თავისი დროშის ქვეშ ყველა მშრომელს განურჩევლათ ეროვნებისა და მათ ბედნიერების სამეფოსაკენ მოუხმობს. სოციალ-დემოკრატიამ დაამხო პლუტოკრატიის ბატონობა თფილისში და გამარჯვება არგუნა მშრომელ ხალხს.

მოქალაქენო! თუ თქვენ გძულთ პლუტოკრატიის თარეში თვითმართველობაში, არც ერთი ხმა არ მისცეთ დაშნაკცუთიუნის პარტიას: ის მუდამ პლუტოკრატიის მოკავშირეა და მშრომელი ხალხის მტერია.

თუ თქვენ გსურთ ეროვნებათა შორის სოლიდარობის განმტკიცება, არც ერთი ხმა არ მისცეთ ქართულ ნაციონალისტურ პარტიებს. მათი გაბატონება ეროვნული ბრძოლის გაღვივების ხელის შეწყობა იქნება.

თუ თქვენ მტრობთ პლუტოკრატიას და გსურთ ქალაქის საქმეების თავისივე ხელში აღება, ხმა მიეცით სოციალ დემოკრატიულ პარტიას. მისი გამარჯვება თქვენი გამარჯვება იქნება.

ძირს პლუტოკრატია და შოვინიზმი!

გაუმარჯოს სოციალდემოკრატიას!

ხმა მიეცით სიას № 1.

ქუთაისის საქალაქო არჩევნები.

6 აგვისტოს ქუთაისში ახალი საბჭოს ხმოსანთა არჩევნები მოხდება. ამ ქალაქს თავისებური სახე აქვს.

თფილისის საქალაქო თვითმართველობას პლუტოკრატია ანუ ფულის არისტოკრატია ედგა სათავეში.

ეს არ შეიძლება ითქვას ქუთაისზე.

ქუთაისის თვითმართველობასაც ერთი ჯურის არისტოკრატია ჰყავდა წამოყენებული სათავეში, მაგრამ მას არ შეიძლება ვუწოდოთ ფულის არისტოკრატია, არ შეიძლება ვსთქვათ ის პლუტოკრატია იყოს.

ეჭვს გარეშეა, ქუთაისური საქმეების მესვეურნი ქართველი საზოგადოების შეძლებული ნაწილის წარმომადგენელია, მაგრამ მათი გასინჯვა თფილისის საზომით მაინც არ შეიძლება.

არ შეიძლება ერთი შეხედვით იმიტომაც, რომ ქუთაისის შემადგენლობის დიდ ნაწილში სოფელი, სოფლური ფსიქოლოგია სჭარბობს, თფილისის ცხოვრებაში კი სოფელს და მის გავლენას მცირე ადგილი უჭირავს!

თფილისის საქალაქო საქმეებს სომხის პლუტოკრატიის წრის „საქმის“ ხალხი ანუ როგორც რუსები იტყვიან, „დელეცები“ განაგებდნენ!

ქუთაისის საქალაქო საქმეებს კი—ქართველი საზოგადოების „მარილი“—ინტელიგენცია განაგებდა.

ინტელიგენცია მუშაობდა დღემდე ყველა იმ საზოგადო დაწესებულებებში, სადაც შეძლებული კლასები ბატონობდნენ და სადაც დემოკრატიას არ მიუწვდებოდა ხელი.

ეს ინტელიგენცია თავად აზნაურულად ფიქრობს აზროვნობს.

ენით ბურჟუაზიულ კილოზე ლაპარაკობს, ხშირად ხალხის, ღარიბთა ინტერესებზედაც ჩამოაგდებს ლაპარაკს—სოციალისტობს.

როცა რამეზე მიდგება ჯერი, ეს ინტელიგენცია ყოველ გვარ საქმეს აკეთებს: თავად აზნაურულს, ბურჟუაზიულს და სოციალისტურს; რაც თქმა უნდა ყველას „თავისებურათ“ და ამას უძახის ის ეროვნულ მოღვაწეობას.

საერთაშორისო ომი

დასავლეთის ასპარეზზე, დვინის, ვილნოსა და ბარანოვიჩის მიმართულებით სროლა გაცხოველდა.

რუმინიის ფრონტზე ავსტრია-გერმანიის ჯარი შეტევას განაგრძობს. ოკნას მიმართულებით რუმინიისა და რუსის ჯარს უკან ახევინეს. უკანასკნელებმა უკან დაიხიეს და მონასტირეშტ-ბოლოშკანეს ბრძოლის ხაზზე გაჩერდნენ. გერმანიის ჯარმა 2 აგვისტოს ფოკშანის მიმართულებით გაძლიერებული იერიშები მიიტანა და რუსის ჯარს მონასტირისაკენ დაახევინა, მხოლოდ რუმინიის ჯარის ერთ ნაწილს კი მოვილიცისაკენ.

ამ ბოლო დროს კავკასიის ფრონტზე მდგომარეობა იცვლება და ოსმალეთის ჯარი აქტიურ იერიშების გზას ადგება. პირველ აგვისტოს ოსმალეთის ჯარმა ხანგრძლივ საარტილერიო სროლის შემდეგ იერიშები მიიტანა ხალდუს დაგის მთიან რაიონში წინ წამოიწია. მათ იერიშების მიტანა დაიწყეს აგრეთვე მოსულის მიმართულებითაც, მაგრამ აქ რუსის ჯარმა მათი იერიშები მოიგერია.

საფრანგეთის და აგრეთვე იტალია-ავსტრიის ფრონტზე ღირს-შესანიშნავი არაფერი მომხდარა. მოწინააღმდეგენი ჩვეულებრივ საარტილერიო სროლას აწარმოებენ.

ვერც ერთს საქმეს ვერ შეხვდებით ამ მეოცნებე ინტელიგენციის მიერ გაკეთებულს, რომ ის რყევას არ განიცდიდეს!

ისინი ყოჩაღები არიან, კარგათ გრძნობენ თავს მხოლოდ სხვის მიერ გაკეთებულ საქმეებზე.

დღემდე ეს ხალხი ძველი თაობის ნაშთ-ვარით საზრდოობდა (თავად-აზნაურთა ბანკები და სხ.)

დღეს, როცა საქმე პირდაპირ ხალხში მუშაობაზე მიდგა, როცა მათ თავიანთი „მრავალ ნაირი საყურადღებო პროგრამით" ხალხში გასავალი არ დარჩათ, როცა საქმის, მუშაობის უნარი ვერ გამოიჩინეს „გასამართლებელი საბუთი" ხელთ აქვთ.

„სახალხო საქმე" სწერს: „ყოველი მისი წევრი (ე. ი. „სარევოლიუციო" პარტიის) სასტიკად დევნილი და წამებულია, მაგრამ მტკიცეა თავის ნიადაგზე ერთად ერთი ძალით, რომელიც მას ამოძრავებს—ქართველი დემოკრატიის უსაზღვრო სიყვარულით და რწმენა, რომ ჭეშმარიტება მაინც გაიმარჯვებს."

ამას ასე დასწერენ, შემდეგ თბილ ალაგებზე წამოსკუპდებიან ეროვნულ დაწესებულებებში—ესაა ჩვენი ზე კლასიური ინტელიგენციის საქმიანობა.

ეს საბოლოო სიტყვებია!

ამ რწმენის და საქმის ხალხი უდგა სათავეში დღემდე ჩვენებურ წმინდა ქართულ დაწესებულებებს „სარევოლიუციო" პარტიის სახით.

საქმეში „სარევოლიუციო" პარტიას არც „რეალ-პოლიტიკის" ხალხი ჩამოუვარდება: სამშობლოს უბედურებაზე მათ მოთქმას „საქართველოში" საზღვარი არ აქვს! მაგ. სამშობლოს „საქართველო" ასე მიმართავს: „დარწმუნდი,—ყველას თავისი საკუთარი ინტერესი ამოქმედებს. შენი არ ედარდებათ, შენ მხოლოდ მოსახმარ მასალად უნდებიხარ... უკიდურეს სოციალისტებს მისთვის, რომ სახელია, რომელსაც შენისთანა ნიჭიერი ერის შვილნი გვერდით ჰყავს. მათი შემწეობით უფრო ადვილად იკაფავდნენ გზას თავის მიზნისაკენ"...

აი რას გვეუბნებიან!

განა ეს გვესაჭიროება ჩვენ ახლა? ამ გზით უნდა ვიაროთ?

ქალაქის ცხოვრების მოწესრიგების საქმეში ამ ხალხს არაფერი არ გაუკეთებია.

აბა, რევოლიუციის გამარჯვების საქმეში მათ რა უნდა შეგვძინონ?!

ამიტომ მათი არჩევა დემოკრატიისთვის ხელ საყრელი არ არის, საზარალოა!

მცონარე ინტელიგენციის სიას ცოცხალი საქმის ხალხი დემოკრატია საერთოდ ნდობას ვერ გამოუცხადებს. ამ სიებში შეიძლება თითო-ოროლა პიროვნება საქმის ხალხია, მაგრამ ეს არ კმარა—საერთოდ მათი სია უნდა უარყოფილ იქნას.

ქუთაისელო მოქალაქენო! თქვენ მოგიწოდებენ ხმა მისცეთ პირველ ნომრის სიას. ეს სოციალდემოკრატიული მუშათა პარტიის სიაა. თქვენ კარგათ იცნობთ ამ პარტიას. მოგეხსენებათ მისი წევრების თავგამოდებითი მუშაობა რევოლიუციისა და ჩვენი დემოკრატიის სასარგებლოთ, მოგეხსენებათ ამ პარტიის წევრთა სახალხო საქმისათვის თავ განწირვა. და თუ თქვენთვის ძვირფასია რევოლიუციისა და დემოკრატიის ინტერესები (და რომ ეს ასეა, ამაში ჩვენ ეჭვი არ შეგვდის) **ხმა მიეცით სოციალდემოკრატიულ მუშათა პარტიის სიას № 1.**

დეპეშები

(პეტ. დეპ. სააგ. 3—4 აგვისტო).

ინგლისის ელჩის ბიუკენენის აზრი ომის შესახებ.

პეტროგრადი. ინგლისის ელჩმა ბიუკენენმა ჟურნალისტებთან საუბრის დროს განაცხადა, რომ ინგლისი მხოლოდ მაშინ ჩაერია ომში, როცა გერმანიამ ბელგიის ნეიტრალიტეტი დაარღვია. ინგლისელებმა იარაღი მიდეს ხელში სუსტი ქვეყნის დასაცველათ, რომლის დამოუკიდებლობის დაცვა თავს იდვეს. ჩვენ ყველა რუსეთის რევოლიუციასთან ერთათ ვართ, როგორც მას ჩვენც ისე არ გვინდა ანექსია და კონტრიბუცია, მხოლოდ ერთი შესწორებით, გერმანიამ უნდა დააკმაყოფილოს მის მიერ განადგურებული და შეპყრობილი ტერიტორიები, მაგრამ სანამ გერმანიის ხალხი არ ადგება, როგორც რუსეთის დემოკრატია მკვიდრი ზავი შეუძლებელია. ბრიტანეთის დემოკრატიას, როგორც რუსეთისას, უნდა ომს ჩქარა მოეღოს ბოლო, მხოლოდ ამდენ აუარებელ მსხვერპლის შემდეგ მას არ სურს ყალბი ზავი. რუსის ჯარისკაცი დამშვიდებულია, რომ იმპერიალისტურ მიზნისთვის არ იბრძვის, არამედ რევოლიუციის დასახსნელათ. ფრანგებმა და ინგლისელებმა უკანასკნელი შეტევა დაიწყეს, რომ შეასუსტონ მტრის იერიშები რუსეთის ფრონტზე და განაგრძობენ ამას სანამ რუსეთში ახალი რეჟიმი დამყარდება.

სწავლის დაწყების დრო.

პეტროგრადი. დროებითმა მთავრობამ დაადგინა პეტროგრადის დაბალ და საშუალო სასწავლებლებში სწავლა დაიწყოს 1 სექტემბერს, ხოლო უმაღლეს სასწავლებლებში 2 ოქტომბერს.

სოც.-რევოლიუციონერები ფინლიანდიელებს ემუქრებიან.

ჰელსინგფორსი ფინლიანდიის სეიმის თავის ნებით მოქმედების განახლების შესახებ სოც.-რევოლიუციონერთა ორგანო „ნაროდნაია ნივა" სწერს: „გაფრთხილებთ ამხანაგ ფინლიანდიელებს, რომ ჩვენ დარაჯათ ვუდგევართ რუსეთის რევოლიუციონურ დემოკრატიას და მისი ინტერესების დარღვევა საბედისწერო უთანხმოებას ჩამოაგდებს, რასაც საშიში შედეგები მოჰყვება. ყოველ ცდას გახსნას ფინლიანდიის სეიმი რუსეთის მთავრობის ნებადაურთველათ, ჩვენ ჩავთვლით რუსეთის რევოლიუციონურ დემოკრატიის წინააღმდეგ დადგმულ ნაბიჯათ".

თათბირი ფრონტზე.

პეტროგრადი 30 ივლისს ფრონტზე მოხდა თათბირი, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს უმაღლეს მთავარსარდალმა, სასურსათო საქმეთა და გზათა მინისტრებმა, შტაბის და ფრონტზე გზათა გამგეობის მოხელეებმა. განიხილეს სურსათის გადაზიდვის შესახებ საკითხი. განსაზღვრეს ბაზრები, საიდანაც უნდა გაზიდულ იქნას ჯარისათვის სურსათი. მთავარი ყურადღება უნდა მიექცეს ტრანსპორტის საქმეს.

დროებით მთავრობის დადგენილებები.

პეტროგრადი. კერენსკის თავმჯდომარეობით მოხდა დროებითი მთავრობის კრება, რომელზედაც დაადგინეს: მიიღონ კანონი ვადამდე სატუსაღოდან განთავისუფლების შესახებ, მისცეს ნება ჩეხელ და სლოვაკელ ეროვნების ხალხს მთელ რუსეთში ცხოვრების, გარდა სამხედრო ტყვეების, ჯაშუშების და სხვა. მიიღოს მტრის მიერ დაზარალებულ მცხოვრებთა ფინანსიურ დახმარების პირობების შემუშავების წესრიგი; მიეცეს ვოლინსკის საგუბერნიო ერობას 200,000 მანეთი მცხოვრებთა დასახმარებლათ; გაუქმებულ იქნას სოფლის ყრილობების დადგენილებით გადასახლება; მიეცეს თურქესტანის კომიტეტს 50 000 მ. მართვა-გამგეობის საქმის მოსაწყობათ და სხვა.

ინგლისის გაზეთები ჰენდერსონის გადადგომის გამო.

ლონდონი. ინგლისის გაზეთებმა ერთი განგაში ასტეხეს ჰენდერსონის გადადგომის სტოკჰოლმის კონფერენციის შესახებ. გამოაქვეყნეს მინისტრ თავმჯდომარეს და ჰენდერსონის შორის მიწერ-მოწერა. ლიბერალური პრესა თავს იჭერს ჰენდერსონის მოქმედება გააკრიტიკოს და ელის მის განმარტებას.

არჩევნების შედეგები.

პეტროგრადი. ტულიდან, ორიოლიდან პიატიგორსკიდან და ძველი ყირიმიდან იტყობინებიან, რომ ქალაქის არჩევნებში ყველგან ს. რევოლიუციონერებმა გაიმარჯვეს. ტულაში და პიატიგორსკში მეორე ადგილი დაიჭირეს ხალხის თავისუფლების პარტიამ, ხოლო ორიოლში ს. დემოკრატებმა.

პარვუსი თავის რევოლიუციონერობას ამტკიცებს.

სტოკჰოლმი. პარვუსმა გერმანიაში გამოსცა წიგნაკი, სადაც ამტკიცებს, რომ ის ნამდვილი რევოლიუციონერია. ლენინს და ბოლშევიკების ლიდერს ის ფულებს კი არ აძლევდა, არამედ უფრო ფარესს, მისცა მათ დინამიტი. ის სულიერათ ასაზრდოებდა რუსეთის რევოლიუციონურ პროლეტარიატს. პარვუსი ბრალს სდებს რუსეთის მთავრობას, რომ მან უღალატა რევოლიუციას და გერმანიის და პრუსიის მასთან შედარებით იდეალურათ გამოჰყავს. დასასრულ პარვუსი ამბობს რევოლიუციონერთა ერთად ერთი ლოზუნგია ზავი. ან საყოველთაო ზავი ეხლავე, ან სეპარატიული. ამ წიგნაკის შესახებ „ფორვერტსი" შენიშნავს: „შეიძლება წიგნაკმა ძლიერ აწყენინოს რუსეთის მთავრობას, ვიდრე პარვუსს, რომელსაც პეტროგრადში ბრალდება წამოუყენეს და რომლის შედეგსაც ის დამშვიდებით ელის გერმანიაში".

ჯაშუშების აღმოჩენა.

რომი იტალიაში მცხოვრები ალექსი სავენკოვი, რომელიც თავს-თავს ემიგრანტს უწოდებდა, გამოუტყდა სვეტიკოვს, რომ ის რუსეთის პოლიციის საიდუმლო თანამშრომელი იყო და გაგზავნილი იყო პარიზში ემიგრანტების თვალყურის სადევნებლად. იტალიიდან ის რივიერაში მცხოვრებ ემიგრანტების შესახებ აწვდიდა ცნობებს და თვეში ღებულობდა 500 ფრანკს.

ადესა იმ კომისიამ, რომელსაც დავალებული აქვს ადესის „ოხრანკის" საქმეების გასინჯვა, ნიკოლაევში გაგზავნა მწერალი ოსიპოვიჩი. მას დავალებული აქვს გამოარკვიოს რევოლიუციონერ ორგანიზაციების ზოგიერთ მოღალატეთა პიროვნება, რომელთაც კავშირი ჰქონდათ მალინოვსკისთან.

ჰენდერსონის სიტყვა.

ლონდონი თემთა პალატაში ჰენდერსონმა სიტყვა წარმოსთქვა სამინისტროდან გასვლის შესახებ. სტოკჰოლმის კონფერენციის საკითხების დაწვრილებით გარჩევა ამ ჟამათ ერის ინტერესებს დაარღვევდა, სთქვა მან. ამიტომ სიამოვნებით ვუშვებ ყოფილ მინისტრთა სიას ჩემს გვარსო. მე ვცდილობდი გამეკეთებია მხოლოდ ისეთი საქმე, რომელიც ხელს შეუწყობდა მოკავშირეთა გამარჯვებას და მკვიდრი ზავის დამყარებასო. ამის შემდეგ ილაპარაკა ლოიდ-ჯორჯმა, მან სთქვა: რუსეთი ამ ჟამათ იმის ცდაშია, რომ ჯარში დისციპლინა აღადგინოს. ამ პირობებში იმაზე უარესი არა არის რა, როგორც მეომარ სახელმწიფოთა წარმომადგენლების მონაწილეობით მოწვეული კონფერენცია. ეს იმ დროს, როცა ფრონტზე დაძმობილების წინააღმდეგ ზომებია მიღებული. ასეთ დასკვნამდე მივიდა ოთხი მოკავშირე სახელმწიფო. ამ წამში მე ვარჩევ არაფერი არ ვილაპარაკო. რუსეთი უკიდურეს გაჭირვებას განიცდის. ოთხი მოკავშირე სახელმწიფო იმ გადაჭრილ აზრს დაადგა, რომ უკეთუ ზავის პირობები განსაზღვრულათ წარმოსდგება ჩვენს წინაშე, ეს უნდა განიხილოს მთელი ნაციის წარმომადგენლებმა. (სიტყვის ბოლო დეპეშის არ გადმოუცია).

თეატრების დახურვა.

პეტროგრადი. პეტროგრადის ზედ-მეტი ხალხისაგან გასანთავისუფლებლათ მთავრობის წრეებში აზრათ აქვთ თეატრები, ბიოგრაფები და სხვა გასართობი დაწესებულებები დახურონ.

ყაზახების დადგენილება.

ნოვოჩერკასკი ყაზახთა ჯარების წარმომადგენელთა კონფერენციამ შემდეგი რეზოლიუცია გამოიტანა: ყაზახები გულწრფელათ ემსახურებიან ახალ წყობილებას, ყოველგვარ პროვოკაციულ გამოსვლებს ყაზახების წინააღმდეგ, რომლითაც ყაზახებს კონტრ-რევოლიუციონერებით და რეაქციონერებით ნათლავენ, ყრილობა ზიზღით უპასუხებს. სამშობლოს სამსახურის საქმეში ყაზახები ისტორიულ გზას არ დასტოვებენ. იარაღით ხელში ისინი სამშობლოს დაიცავენ გარეშე მტრისაგან და სასტიკ ბრძოლას გაუწევენ შინაურ მოღალატეებს და სამშობლოს გამყიდველებს. კონფერენცია სალამს უძღვნის ბრძოლის ველზე მყოფ ყაზახებს და უსურვებს მათ, რომ ამ არევ-დარევის დროს მათ შესაფერი წესრიგი დაიცვან და მამაცურათ დაიცვან სამშობლო და ის დიდი თავისუფლება, რომელიც რუსეთს დიდებულმა რევოლიუციამ მიანიჭა.

საქალაქო არჩევნები.

ტაშკენტი. ქალაქის საბჭოში აირჩიეს 77 ხმოსანი ადგილობრივი მცხოვრები მათში ერთი ბუხარული ებრაელი და 35 ევროპიელი, რომელთაგან 26 სოც.-რევოლიუციონერია. 4 სოც.-დემოკრატი და 2 რადიკალ-დემოკრატი.

ბერდიანსკი. ქალაქის არჩევნებში სახლის პატრონებმა გაიყვანეს 13 ხმოსანი, სოციალ-რევოლიუციონერებმა—8, ტრუდოვიკებმა 2, სავაჭრო მოსამსახურეებმა 1 და ძველი საბჭოს მოღვაწეებმა 7.

მენშევიკების ყრილობა.

კიევი. გაიხსნა ხუთი გუბერნიის წარმომადგენელ მენშევიკთა საოლქო კონფერენცია. გამოცხადდა 100-ზე მეტი წარმომადგენელი.

გაფიცვა ფინლიანდიაში.

ჰელსინგფორსი. კრიზისი, რომელიც გამოიწვია ვილის საწყობებში გადამალული ერბოს აღმოჩენამ მეტათ გამწვავდა. 2 საათზე სამეურნეო დეპარტამენტის თავმჯდომარემ გენერალ გუბერნატორს გაფიცვის კომიტეტის რეზოლიუცია გადასცა. რეზოლიუციაში მოითხოვენ სეიმის მუშაობის განახლებას და იმ კანონის ცხოვრებაში გატარებას ფინლიანდიის უმაღლესი მთავრობის შესახებ, რომელიც სენატმა შეიმუშავა და რუსეთის მთავრობის არ ჩარევა ფინლიანდიის სეიმის საქმეებში. გენ. გუბერნატორმა უპასუხა, რომ დაუყონებლივ პასუხის მიცემა არ შეუძლია, ყველაფერს მოახსენებს დროებითი მთავრობასო. ტოკოი დასთანხმდა დაუცადოს დროებით მთავრობის პასუხს.

რუმინელები რუსეთში.

კიევი. მოსალოდნელია რუსეთში რუმინელთა მრავალ-რიცხოვანი ევაკუაცია, განზრახულია დღეში თითო მატარებელი დაუთმონ ლტოლვილთ.

სტოკჰოლმის კონფერენცია.

პეტროგრადი. გარეშე საქმეთა მინისტრმა ტერეშჩენკომ ჟურნალისტებს განუცხადა, რომ კონფერენციის შესახებ დროებითი მთავრობას აზრი არ შეუცვლია. დროებითი მთავრობის აზრით კონფერენცია გავლენიანი პოლიტიკური პარტიებისა და ჯგუფების აზრს გამოხატავს და არ შეუძლია შეავიწროვოს მას მთავრობის მოქმედება. მოკავშირე სახელმწიფოთა მინისტრებიც სწორეთ ასე გაეცნენ საკითხს პეტროგრადში ყოფნის დროს. ტერეშჩენკოს აზრით ომის საკითხი უნდა განიხილოს მოკავშირე სახელმწიფოთა კონფერენციამ, რომელზედაც დიპლომატებთან ერთად საჭიროა ჩვენი პოლიტიკური პარტიების და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენელთა მონაწილეობა. მინისტრი შეეხო ჩვენი დელეგატების საზღვარ-გარეთ წასვლის საკითხს და სთქვა: რაც ჩემზე იყო დამოკიდებული წასასვლელი ნებართვის მიცემისა და იქ დან კორესპოდენციის რიგიანათ მიღების საქმის მოწესრიგების ყველაფერი გავაკეთეო.

შეიარაღებული თავდასხმა.

კრასნოიარსკი შეიარაღებული ჯგუფი თევზის მრეწველის ბინას თავს დაესხა. წაიღეს 45 ათასი მანეთი. აჩინ-მინუსინის რკინის გზაზე გაძარცვეს „არტელჩიკი", წაიღეს 22 ათასი მანეთი.

საქალაქო არჩევნები.

ვლადიკავკაზი. კადეტებმა გაიყვანეს 18 ხმოსანი, სოციალისტებმა 63, ოსებმა 5.

გერცენშტეინის მკვლელი.

პეტროგრადი. დააპატიმრეს ცნობილი შავრაზმელი იუსკევიჩ-კრასკოვსკი, რომელმაც პირველი დუმის დეპუტატის გერცენშტეინის მკვლელობა მოაწყო. დაპატიმრებულს ბინაზე აუარებელი შავრაზმული ლიტერატურა აღმოუჩინეს.

ომის დეპეშები.

(პეტ. დეპ. სააგ.).

პეტროგრადი. 3 აგვისტო. დასავლეთის ასპარეზზე დვინის, ვილნოსა და ბარანოვიჩის მიმართულებით სროლა გაცხოველდა.

რუმინიის ფრონტზე, დნესტრსა და პრუტს შუა საარტილერიო სროლამ მკაცრი ხასიათი მიიღო. სასერეტის მიმართულებით, გურა-ბერმოლუს აღმოსავლეთით ჩვენმა „სიკვდილის ბატალიონმა" მტრის სანგრები დაიჭირა. სტრატეგიული მოსაზრებით დრაგოსლავენ-კოსა-კოლოკოლის ფრონტიდან რუმინიის ჯარმა მონასტირ-ბოლოშკანეს ბრძოლის ხაზისაკენ დაიხია. სუშიცის, ვოლოშკანის, და სუსის რაიონებში მტრის იერიშები მოვიგერიეთ. ფოკშანის მიმართულებით მტერმა იერიში მიიტანა. სტრაინი პრუჩეტლოუს გაწვრივ ჩვენი ჯარი იძულებული გახდა მუნჩალ-მონასტირისაკენ დაეხია. რუმინიის ჯარის ერთმა ნაწილმა კი მოვილიცისაკენ დაიხია.

ი. წერეთლის სიტყვა.

(წარმოთქმული ცენტრ. აღმას. კომიტეტის სხდომაზე 24 ივლისს).

იმას, რაც ამ სამი კვირის განმავლობაში ხდებოდა, ჩვენ ვუწოდეთ მთავრობის კრიზისი. ეს იყო კრიზისი არა მარტო მთავრობის, არამედ რევოლიუციისაც. რევოლიუციის განვითარების ისტორიაში ეს დრო მოასწავებს ახალი ეპოქის დასაწყისს. თქვენ ეს-ესაა მოუსმინეთ ამხანაგ-მინისტრებს. ისინი წარსდგნენ თქვენს წინაშე არა სხივოსან ზარავანდედით მოცულნი, არა აღტაცებულ იმედებით და არც გამარჯვების სადღესასწაულო ცნობით. მათ სიტყვებში გამოსჭვივის შიში და დიდი პასუხისმგებლობის გრძნობა ქვეყნისა და რევოლიუციის ბედის გამო.

კოალიცია—ეს ხსნის კავშირია. ჩვენ ხშირად გვესმის, რომ რევოლიუცია განსაცდელშია. უნდა ვიხსნათ ქვეყანა და მისი ხსნა ჩვენ ვაკისრეთ მთავრობას, რომელმაც უნდა აღადგინოს რევოლიუციური წესრიგი. მაგრამ რევოლიუციური წესრიგი, ამხანაგებო, იმას კი არ მოასწავებს, რომ ქვეყანაში მკვდარი სიჩუმე ჩამოვარდეს. ყველაზე უფრო გვაწუხებს ჩვენ არა შინაგანი უწესოებანი და არც საშიში მდგომარეობა ფრონტზე, ჩვენ გვაწუხებს ის, რომ ქვეყანაში მეტის მეტი სიწყნარეა. არ არის შიში, არ არის ენტუზიაზმი, რომელზეც წინად იყო ლაპარაკი. რუსეთში მომხდარი ამბები რომ მომავლისთვის შიშს გამოიწვევდეს, რევოლიუციის და ქვეყნის განსაცდელის გრძნობით გამსჭვალული ხალხი რომ ამოძრავდებოდეს და გამოფხიზლდებოდეს, მაშინ რევოლიუციასა და მასთან ქვეყნის ხსნაც უზრუნველ ყოფილი იქნება. ეს წმინდა საშიშროების გრძნობა უნდა გავაღვიძოთ. რევოლიუციური წესრიგის აღდგენისათვის მუშაობაში ამგვარათ უნდა ვიმოქმედოთ, რომ რუსეთის შვილებმა იგრძნონ—რა მძიმე მდგომარეობას განიცდის მათი დედა.

ვით მიჯაჭვული პრომეთეოსი ყვავ-ყორანის მიერ დაფლეთილი გულით, რევოლიუციური რუსეთი დაჭრილი დასუსტებულია ომით და ანარქიით და მას უკვე დასტრიალებენ თავს კონტრ-რევოლიუციის ყორნები.

რევოლიუციის ძალებმა უნდა იხსნან ქვეყანა. უკეთუ ხალხი სულით დაეცემა და ჯარი იმ მდგომარეობამდე მივა, რომ წინააღმდეგობის გაწევის უნარს დაჰკარგავს, რევოლიუცია დაიღუპება, ომი შეხრავს რევოლიუციას, უკეთუ რევოლიუციონურ რუსეთის შვილები მედგრათ არ დაიცავენ მას ფრონტზე, უკეთუ გერმანიამ გაანადგურა ქვეყანა, გაანადგურებს რევოლიუციასაც და ჩვენც უკვე ყოველივე იმედი მოგვესპობა განახლების. ქვეყნის ყველ ცოცხალ ძალთა შეთანხმებას, რომელიც ეხლა მოხდა, ერთი მიზანი აქვს: დააყენოს მთელი ქვეყანა ფეხზე და ძალა დაატანოს შეძლებულ კლასებს თავიანთი ინტერესები შესწირონ ქვეყნის დახსნის საქმეს. მთავრობა საზოგადო სახალხო უნდა იყოს. ჩვენი ამხანაგების გმირობა იმაში უნდა გამოიხატოს, რომ მან მოუწოდოს მსხვერპლისათვის არა მარტო სხვა კლასებს, არამედ თავისასაც. ჩვენი აზრით ის კლასი, რომელიც თავის კლასობრივ ინტერესებს ვერ შეუხამებს მკვდარია.

და ასეთი კლასები ჩვენ გავრიყეთ, გავრიცხეთ კოალიციიდან და უკეთუ ამ მკვდარ კლასების წარმომადგენლები აღმოჩნდენ კოალიციაში, იმათაც გავაგდებთ, რადგან იგინი [illegible] დააწვებოდენ თავზე ხალხის დამხსნელ მთავრობას. შევქმენით რა შეთანხმება, ჩვენ მოუწოდებთ შეერთებულად ყველა მათ, ვინც მსხვერპლის წინ არ დაიხევს და მედგრათ წავა წინ სწორი გზით რევოლიუციის და ქვეყნის დაღუპვისაგან დასახსნელათ.

ჩვენ სრული ძალა უფლება მივეცით მთავრობას, რომ შეასრულოს ის საქმე, რომელიც ეხლა ჩვენ წინ სდგას. ჩვენი დემოკრატიულ ორგანიზაციების დამოკიდებულება მთავრობასთან შეიცვალა. წინათ ჩვენ არა თუ მარტო კონტროლს ვუკეთებდით მთავრობას, ხშირათ ჩვენ თვითონ ვასრულებდით მის მოვალეობას. დემოკრატიულ ორგანიზაციების დაუხმარებლათ წინათ მთავრობას არ შეეძლო ქვეყნის მართვა გამგეობა. დღეს დროებით მთავრობას ხელთ უნდა მივსცეთ სრული ძალა უფლება. რევოლიუციონურ დემოკრატიის ორგანიზაცია მობილიზაციას ახდენს და თავის გარშემო ჰკრებს მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა მასას და მთავრობის მოქმედების კრიტიკის უფლებას იტოვებს, ხოლო ქვეყნის მართვა გამგეობაში კი არ ერევა. ჩვენ ხელი არ უნდა შეუშალოთ ამ მთავრობას და როცა რაიმე შეცთომას შევნიშნავთ ნიშანი მივსცეთ.

ამბობენ: რევოლიუციონურ მთავრობის რეპრესიები გამოყოფილ უნდა იქნას მისი დადებითი ზომებით. მე ასეთი დაყოფა არა მრწამს. რეპრესიები და რეფორმები ერთგვარათ უნდა დაფასდეს, რადგან ის გამოწვეულია ქვეყნის დახსნის და რევოლიუციის გამარჯვების სურვილით და ყველა ის რაც ამ მიზანს აღწევს, რეფორმები იქნება, თუ რეპრესიები, ყველა რევოლიუციის დასახსნელათ მიღებულ ზომათ უნდა იქნას აღიარებული.

როცა რეპრესიებს ისე ვერ ხმარობენ როგორც საჭიროა, ან არასაიმედო აგენტებს აძლევენ ხელში რეპრესიის იარაღს, ეს იარაღი ანარქიის ზომიდან შეიძლება დემოკრატიულ ორგანიზაციებსაც გაეკრას. ამ ნიადაგზე შეიძლებელია დემოკრატიულ მთავრობის მოულოდნელი მოქმედების შედეგები. მაგრამ, ამხანაგებო, უტოპია იქნებოდა თქვენის აზრით გეფიქრათ ისეთი მთავრობის შედგენა, რომელიც იოტის ოდენა შეცდომას არ დაუშვებდა, რადგან ეს ყოვლად შეუძლებელია, ასეთი უშეცდომო მთავრობის შედგენა არავითარ ძალას არ შეუძლია. შეცდომები იქნება, მაგრამ უკეთუ ჩვენ შევნიშნავთ რაიმე შეცდომას მთავრობის მოქმედებაში, რომელსაც სრული ძალა-უფლება მივეცით და რომლის ხელშია რევოლიუციის დროშა, ჩვენ შეგვიძლია ასეთ შემთხვევაში ხმამაღლა ვამხილოთ ეს და შევასწოროთ ეს შეცდომა. მე თვითონ მინისტრი ვიყავი და უნდა გამოგიტყდეთ თუ არ დემოკრატიის კრიტიკა ისე არ შემეძლო გამოვრკვეულიყავი და საქმეს გავსძღოლოდი. ჩვენ კრიტიკას გავუკეთებთ მთავრობას, მაგრამ ამავე დროს ნუ დაგვავიწყდება, ამხანაგებო, რომ ყოველივე ჩვენ დადგენილებას უცვლელათ არ გაატარებს მთავრობა. ეს კოალიციაა და ყოველივე კოალიცია ნიშნავს დათმობას.

ჩვენმა წარმომადგენლებმა არ უნდა გადაუხვიონ იმ პლატფორმას, რომელზედაც კოალიცია აღმოცენდა. ცენტრალური კომიტეტი პირდაპირ, გულახდილათ თანახმაა ამ კოალიციაზე, ის არავითარ ქვენა აზრებით არ ხელმძღვანელობს. ჩვენ ხელი არ უნდა შევუშალოთ ჩვენ ამხანაგ სოციალისტებს მუშაობაში, ჩვენ იგინი მოღალატეს სახელით არ უნდა მოვნათლოთ, უკეთუ მათ მოეთხოვებს მსხვერპლი რევოლიუციის დასახსნელათ, ხოლო ამავე დროს მეორე მხარემაც ასე რეალურათ უნდა შეასრულოს თავისი მოვალეობა. რადგან მხოლოდ ასე ერთობლივად მოქმედებით შეიძლება ქვეყნის დახსნა, მთელი ქვეყნის დემოკრატიის, მთელი ქვეყნის წინაშე ჩვენ აშკარათ განვაცხადებთ, რომ რუსეთის დასახსნელათ საჭიროა ამ კოალიციას ხელი დავუჭიროთ. ჩვენ არავის ნებას არ მივსცემთ ძირი გამოუთხაროს რევოლიუციას და შეეცადოს მის დანგრევას.

ეხლანდელ მთავრობას უფრო მეტი საქმე აქვს გასაკეთებელი, ვიდრე წინანდელს. ქვეყანა ჭრილობებისაგან იტანჯება. ყოველივე საშუალება უნდა ვიხმაროთ, რომ ჩვენმა ჯარმა ბოლოს მაინც შეაჩეროს მოწინააღმდეგის წინ წამოსვლა, რადგან მტრის მიერ ჩვენი ტერიტორიის კიდევ ხელში ჩაგდება, მთელი ქვეყნის და რევოლიუციის განადგურებას მოასწავებს.

ამხ. კერენსკიმ მთხოვა შევსულიყავ კოალიციურ სამინისტროში. მე მასთან ერთათ ყოველ მხრით განვიხილე ეს საკითხი და იმ დასკვნამდე მივედით ორივე, რომ ჩემთვის უკეთესია დავრჩე თქვენთან, რომ მჭიდროთ შევაკავშიროთ ასეთ კრიტიკულ დროს რევოლიუციონურ დემოკრატიის ძალები და მით დავეხმაროთ მთავრობას მის ფრიად მძიმე საქმეში.

კავკასიის ფრონტზე, ხარფუთის მიმართულებით ხანგრძლივ საარტილერიო სროლის შემდეგ ოსმალთა ჯარმა სალდუს დაგ-პლიმიუსის მაღლობებზე მდებარე პოზიციებზე იერიშები მიიტანეს და მათ სალდუსდაგის რაიონში წინ წამოიწიეს. მოსულის მიმართულებით ჩაკოსთან ოსმალთა ჯარის იერიშები მოვიგერიეთ.

ლონდონი. 1 აგვისტო. გიზოკურის ჩრდილოეთით და ვერმელის აღმოსავლეთით მდებარე პოზიციებიდან მტრის ჯარი ზოგიერთ სანგრებიდან გავრეკეთ. აქ მტერმა რამდენიმე ჯარისკაცი დაჰკარგა, რის აღმოსავლეთით მტრის იერიშები მოვიგერიეთ. იპრის ჩრდილო-აღმოსავლეთის რაიონში გერმანელებმა საარტილერიო სროლა განაცხოველეს.

ლონდონი. 2 აგვისტო. საფრანგეთის ფრონტზე, ვესტნეკეს აღმოსავლეთით ხანგრძლივ საარტილერიო სროლის შემდეგ გაძლიერებული იერიშები მიიტანეს და ჩვენ იძულებული გავხდით რამდენიმე იარდით უკან დაგვეხია. ლავანტის აღმოსავლეთით მტერი ორჯერ შეეცადა ჩვენს პოზიციებზე იერიშები მიეტანათ. მეორე იერიშის მიტანის დროს მტერმა შესძლო ჩვენი სანგრების პირველი წყების დაჭერა, მაგრამ მალე კონტრ-იერიში მივიტანეთ და დაკარგული სანგრები კვლავ უკან დავიბრუნეთ. იერიშები მოვიგერიეთ ნევშაპელის რაიონში.

აეროპლანების მოქმედება.

გერმანელების აეროპლანები განაგრძობენ თავდასხმას. ჩვენმა აეროპლანებმა მცირე დაზვერის შემდეგ გერმანიის ბატარეების სადგომი აღმოაჩინა და იქ ყუმბარები ჩაყარა. საერთო ბრძოლის დროს გერმანელების 4 აეროპლანი დააზიანეთ და ძირს ჩამოეშვენ. ამ ბრძოლის დროს ჩვენ დავკარგეთ ორი აეროპლანი.

პარიზი. 2 აგვისტო. საფრანგეთის მთავარი ბანაკის ცნობით 1 აგვისტოს გაძლიერებული საარტილერიო ბრძოლა იყო ბელგიაში მაასის ორივე ნაპირებზე. სერინის აღმოსავლეთით კაიერის ტყეში და კრონის რაიონში.

ჰავრი. 2 აგვისტო. ბელგიის ჯარის ბანაკის ცნობით მტრის ბანაკისთვის საარტილერიო ბრძოლის დროს ზარალი მიუყენებიათ ბელგიელებს. ბრძოლის დროს ნემცებს უსვრიათ საწამლავი გაზებით გატენილი ყუმბარები.

რომი. 2 აგვისტო. მთელს ფრონტზე საარტილერიო სროლა განცხოველდა. ვოდიჩეს პოზიციებზე მტრის იერიშები მოვიგერიეთ. ტოლმინის სამხრეთით მტრის სანგრებს ზარბაზნის ყუმბარები დავუშინეთ და საგრძნობელად დავაზიანეთ.

გემების ჩაძირვა.

ლონდონი. 2 აგვისტო. ბრიტანიის საზღვაო უწყების ცნობით ჩრდილოეთ ზღვაში ინგლისის კონტრ-ნაღმოსანი ნაღმს წააწყდა და ჩაიძირა; დაიღუპა გემის კომანდირი, 2 აფიცერი და 43 ჯარისკაცი.

პეტროგრადი. 3 აგვისტო. ბალტიის ზღვაში, ალანის კუნძულებთან ჩვენი საესკადრონო ნაღმოსანი „ლეიტენანტ ბურაკოვი" ნაღმს წააწყდა და ჩაიძირა. დაიღუპა ლეიტენანტი რადლოვი, 22 მატროსი, მძიმეთ დაშავდენ 3 აფიცერი, 9 მატროსი და ნაღმოსნის კომანდირი. ბალტიის ზღვაში ჩვენმა წყალქვეშა ნავმა გერმანიის გემი ჩაძირა.

ახალი ამბები

◆ **გაფიცვის დასრულება.** მეთონეთა გაფიცვა დასრულდა. პურის ნიხრი ქალაქის სასურსათო კომიტეტმა უცვლელად დასტოვა.

◆ **მუშების საჩივარი.** ხუნდოევის აგურის ქარხნის 18 მუშამ საჩივარი აღძრა მუშათა სექციაში ქარხნის მოიჯარადრე ხანგაიანცის წინააღმდეგ. ხელშეკრულობის თანახმად, თუ წყლის ნაკლებობის გამო მუშაობა შეწყდებოდა, მოიჯარადრეს მაინც უნდა მიეცა მუშებისათვის დღიური ხელფასი. მიუხედავათ ამისა, ხანგაიანცი არ აძლევს თურმე მუშებს 3182 მან., რამაც გამოიწვია მუშების საჩივარი.

◆ **სამხედრო ცენზურა.** როგორც ვიცით, დროებით მთავრობის დადგენილების თანახმად აკრძალულია პრესაში ისეთი ცნობების მოთავსება რუსეთის ჯარისა და ფლოტის შესახებ, რომელთა გამოქვეყნება მტერს შეუძლია რუსეთის და მის მოკავშირეთა საზარალოდ. ამის გამო კავკასიის სამხედრო ოლქის შტაბის უფროსმა წინადადება მისცა ადგილობრივ გაზეთების რედაქტორებს ხსენებული ხასიათის ცნობები წარადგინონ შტაბის სამხედრო-საცენზურო განყოფილებაში წინასწარ განსახილველად.

◆ **შეშა.** სამხედრო-სამრეწველო კომიტეტთან არსებული სატყეო კომისია სთხოვს ამიერ-კავკასიის განსაკუთრებულ კომიტეტს აღმოუჩინოს ნივთიერი დახმარება ზამთრისთვის შეშის დამზადებაში.

◆ **ფთ. ნოტარიუსებთან მომუშავეთა** პროფესიონალური კავშირმა 7 ივლისიდან შემდეგი ეკონომიური მოთხოვნილება წაუყენა ნოტარიუსებს სხვათა შორის მოითხოვენ ჯამაგირის გადიდებას, ვისაც თვეში ჯამაგირი 100 მან. ნაკლები აქვს—50 პროცენტით, 101—150 მანეთამდე—40 პრ.; 151—200 მ. —20 პროცენტით. ეს მოთხოვნილებები ყველა ნოტარიუსმა დააკმაყოფილა, გარდა ბოტეზატისა, პროფესიონალური კავშირი სთხოვს მ. და ჯ. დეპ. საბჭოს მუშათა სექციას ხელი შეუწყოს ბოტეზატისა და მის მოსამსახურეთა შორის ჩამოვარდნილ უკმაყოფილების მშვიდობიანათ დასრულებას; მისცეს წინადადება ბოტეზატს დააკმაყოფილოს მოსამსახურეთა მოთხოვნილებანი და საქმე გასარჩევათ გადასცეს მომრიგებელ კამერას ან სამედიატორო სამართლოს.

◆ **მუშების შუამდგომლობა.** მუშა ალაზანოვმა მ. და ჯ. დეპუტატთა საბჭოს მუშათა სექციაში თხოვნა შეიტანა, რომელშიაც აღნიშნავს, რომ იგი 8 წლის განმავლობაში მუშაობდა ბოზარჯიანცის თამბაქოს ქარხანაში და შემდეგ, სხვა ამხანაგებთან ერთად, გაიწვიეს სამხედრო სამსახურში. ხსენებული ფაბრიკა მას არავითარ დახმარებას არ უწევს მაშინ, როცა დანარჩენ მის ამხანაგებმა უკვე მიიღეს ფაბრიკიდან დახმარება. ალაზანოვი სთხოვს მუშათა სექციას მიაქციოს ყურადღება ამ გარემოებას. ასეთივე განცხადება შეიტანა მუშათა სექციაში მიკირტუმოვმა, რომელიც ქარხანაში მუშაობდა 5 წლის განმავლობაში.

◆ **ხაზინაში მომუშავეთა** პროფესიონალურმა კავშირმა მოხსენება წარუდგინა ამიერ-კავკასიის განსაკუთრებულ კომიტეტს, რომელშიაც აღნიშნავს მუშა ხელის სიმცირეს არსებულ სამუშაოსთან შედარებით. კომიტეტი სთხოვს ფინანსთა სამინისტროს საბჭოს წევრს აცნობოს, თუ როგორია მისი აზრი ამ საკითხის შესახებ.

◆ **ქალაქის სასურსათო კომიტეტმა** ქალაქის ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილებებში დანიშნა 4 აგენტი, რომლებმაც უნდა ადევნონ თვალყური, რომ თფილისიდან ამანათებით არ გაიგზავნოს ჩაი, შაქარი, ფქვილი, ფართლეულობა და სხვ.

◆ **ლტოლვილები.** ლტოლვილთა საბჭ. აღმასრულ. კომიტეტი სომეხთა ცენტრალურ კომიტეტს ატყობინებს, რომ ლტოლვილთა შესვლა ბაქოში აკრძალულია.

◆ **სამოსწავლო ოლქი.** კავკასიის სამოსწავლო ოლქის ორგანიზაცია ძლიერ განსხვავდება რუსეთის სხვა ოლქების ორგანიზაციისაგან. იგი უფრო ფართო საფუძველზეა აგებული. ოლქის კომისარიატს და მასთან არსებულ საბჭოს საჭიროთ მიაჩნია თავის მოღვაწეობის შესახებ, რაც შეიძლება მეტი ცნობების მიწოდება როგორც ადგილობრივ, ისე სატახტო გაზეთებისათვის საბჭომ გამოიტანა შემდეგი დადგენილებანი: 1) მასწავლებელთა და სკოლის ადმინისტრაციის არჩევა, სხვა ადგილზე გადაყვანა ან სრულებით დათხოვა—სასკოლო კომიტეტების საქმეა. ადგილობრივ სასკოლო კომიტეტებში შედიან 10 წარმომადგენელი ადგილობრივ თვითმართველობიდან და 3 წარმომადგენელი მასწავლებელთა კავშირიდან. როცა საკითხი ეხება რომელიმე მასწავლებელს, მაშინ კომიტეტის სხდომას ესწრება გადამწყვეტი ხმით ორ-ორი წარმომადგენელი მასწავლებელთა კორპორაციისა და მშობელთა წრისა. კომიტეტთან არსდება ნაციონალური კომისია, ეს კომისია გაარჩევს ისეთ საკითხებს, რომლებიც ეხება ცალკე ეროვნებას; 2) სთხოვოს კომისარიატს გამოუშვას დეკლარაცია თავის და საოლქო საბჭოს სახელით. ამ დეკლარაციაში უნდა აღინიშნოს: 1) რომ კომისარიატი დაარსებულია ამიერ კავკასიის განსაკუთრებულ კომიტეტის განკარგულების თანახმად; 2) რომ მას მინდობილი აქვს კავკასიაში სკოლების ხელმძღვანელობა, მათი გარდაქმნა და ნაციონალიზაცია; 3) რომ სკოლის მოწყობის საქმეში მონაწილეობას მიიღებს ადგილობრივი თვითმართველობაც და 4) რომ კომისარიატი და საბჭო სთხოვს ადგილობრივ ორგანოებს თვითონ ნუ მიიღებენ ნურავითარ ზომებს ამ საქმის მოსაწყობათ, აცნობონ კომისარიატს, თუ რამე გაუკეთებიათ ამ აზრით და აგრეთვე გამოგზავნონ ყველა მასალები, რომლებსაც რაიმე კავშირი აქვთ სკოლის განახლებისა და ნაციონალიზაციის საქმესთან და ადმინისტრაციისა და მასწავლებელთა გადაყვან-გადმოყვანასთან.

◆ **ვერის მუშათა კლუბი** ვაჟთა მე 6 გიმნაზიის შენობაში (საუფლისწულო ქ. Удѣльная) ხვალ გამართავს ლიტერატურულ საღამოს.

◆ **სურსათი.** 3 აგვისტოს თფილისში შემოიტანეს 11 ვაგონი ფქვილი და 2 ვაგონი შაქარი.

◆ **სამგლოვიარო წერილი** მივიღეთ იაკი სახაშვილისაგან და ილარიონ დარახველიძისაგან ამხ. ევტიხი თალაკვაძის გარდაცვალების გამო.

კრებები და მიტინგები

დღეს, საღამოს 7 საათზე დანიშნულია მე 3 ურაიონ. კოლექტივის კრება. ვთხოვთ ამხანაგებს უეჭველათ დაესწრონ კრებას. რადგანაც ბევრი საჭირო კითხვებია გასარჩევი.

— ხვალ, დილის 10 ს. დანიშნულია (პეტრე დიდის ქ. № 18) დურგლების, ხარატების, მეკუბოვეთა, სოქის მკეთებელთა და სხ. პროფესიონალურ კავშირის წევრთა კრება. ვთხოვთ ამხანაგებს არ დააკლდნენ კრებას.

— კვირას, 7 აგვისტოს ვერის რ. ს.-დ. მ. პ. კლუბში (უნილის ქ. № 3) გაიმართება საღამო. წაკითხულ იქნება ლექცია: დამფუძნებელ კრებაზე. აგრეთვე წარმოდგენილ იქნება: სიძე-სიმამრი, 3 მოქ.

— ხვალ, საღამოს 5 ს. ქალაქის სანერგეში დანიშნულია ოსების საორგანიზაციო კულტურულ-განმანათლებელ საზოგადოების წევრთა საერთო კრება.

— ხვალ, დილის 9 ს. ქალთა ეპარქიალურ სასწავლებლის შენობაში (ანდრეევის ქ. № 42) დანიშნულია თამბაქოს ქარხნებში მომუშავეთა პროფესიონალურ კავშირის წევრთა და კოლოფების მკეთებელთა საერთო კრება. დღის წესრიგი: 1) გამგეობის მოხსენება, 2) წესდების განხილვა; 3) საწევრო გადასახადი; 4) გამგეობისა და სარევიზიო კომისიის წევრების არჩევა; 5) ახალი მოთხოვნილებანი; 6) საკითხი მდივნის შესახებ. კავშირის გამგეობა სთხოვს ამხ. მუშებს აუცილებლათ გამოცხადდენ კრებაზე დანიშნულ დროს.

გლეხ-კაცი

1.

შრომობს, მღერის შრომის შვილი,
შრომობს, სიცხით უწუხს გული;
გიშრის მკერდზე წვეთ წვეთად სდის
ცხარე ოფლის ნაკადული.

2.

შრომობს გლეხი, თან ღიღინებს
ნაღვლიან და მწარ ტკბილ ხმაზე;
შრომობს, ოფლს ღვრის და ღიღინით
მოსთქვამს თავის ცხოვრებაზე.

გ. ქუჩიშვილი.

პროვინციის ქრონიკა.

სად. სუფსა. (გურია). გასულ თვეში აქ ქალთა წრის ინიციატორობით დაარსდა კოოპერატიული სასადილო „შეღავათი". არჩეულ იქმნა გამგეობა, რომელმაც ენერგიულად მოჰკიდა საქმეს ხელი. საზოგადოება დიდათ კმაყოფილია. ჯერჯერობით საქმე კარგად მიდის. წევრთა რიცხვი სამასამდეა.

დ. აბასთუმანი. აქ გაზ. „ერთობას" ჰყიდიან 22 კაპ. ადგილობრივ სამკითხველოშიც ჩვენი გაზეთი არ არის. ამის გამო ამხანაგები უგაზეთოდ რჩებიან. თუ აქაურ გაზეთის გამყიდველს რაიმე დამოკიდებულება აქვს რედაქციასთან, ცუდი არ იქნება, გაზეთის ფასს დააკლებინებდეთ როგორმე.

ხაშური. ხაშურის რაიონის აღმასრ. კომიტეტის ბიურომ აღმოაჩინა შემდეგი ბოროტმოქმედება: ადგილობრივ ყასაბს ვასო არუცოვს უყიდნია 30 მან. ჭირით მოკლული ხარი, უკვე გახრწნილი გატყავებია, შემოუტანია ღამე ხაშურში და რომ ამ დროს მილიციონ. არ დაეჭირათ, მეორე დილას ხალხს მიჰყიდდა. ხაშურის რაიონის მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპ. შეერთებულმა საბჭომ იქონია რა ამის შესახებ მსჯელობა 2 აგვისტოს გამოიტანა შემდეგი დადგენილება: „დაიხუროს არუცოვის საყასბო სამუდამოთ, აეკრძალოს ვასო არუცოვს და მის ამხანაგს მიხა ჩარექოვს ხორცით ვაჭრობა, პასუხისგებაში იქნენ მიცემული და ეს დადგენილება გამოცხადდეს გაზეთში".

ს. გომი. (გურია). 1 ივლისს, ახლად დაარსებულ სამკითხველოს სასარგებლოდ გაიმართა წარმოდგენა, მონაწილეობა მიიღეს სცენის მოყვარეებმა. წარმოდგენის შემდეგ გაიმართა სეირნობა. შემოსავალი 700 მ. აღემატა. ეს თანხა გადასცეს სამკითხველოს, რისთვისაც მადლობას სწირავს ყველას სამკითხველოს გამგეობა.

სად მოლითი. კვირას 30 ივლისს მოხდა აქ დიდი სახალხო მიტინგი, რომელსაც დაესწრო მთელი საზოგადოების მცხოვრებნი. მიტინგის თავმჯდომარეთ აირჩიეს ჩხეიძე. დღიურ წესრიგს შეადგენდა: თანამედროვე მომენტი, აღმასრულებელი კომიტეტები და მათი მნიშვნელობა და დამფუძნებელი კრება. ილაპარაკეს ყვირილელმა ამხანაგებმა ვასო არაბიძემ, ნიკ. საყვარელიძემ, ხაშურელი ამხანაგებმა ნიკო სიხარულიძემ, ჯარისკაც ნოზაძემ, სილოვან ციცქიშვილმა. კრებამ გამოიტანა რეზოლუციები და საღამოს 5 საათზე დაიშალა.

თფ. საბჭოს ს.-დ. ფრაქციის თათბირი.

თფილისის ახლად არჩეულ საბჭოს სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის პირველი თათბირი ნაძალადევში მოხდა.

ნაძალადევი! ეს ხომ ბუდეა დემოკრატიისა, საიდანაც მუდამ მედგრათ გაისმოდა თავისუფლებისათვის ბრძოლის ხმა, სადაც პირველად აფრიალდა ს.-დ. პარტიის წითელი დროშა, რომელიც თვითმპყრობელობასთან ბრძოლაში მუდამ მაგალითი იყო ჩვენთვის. ნაძალადევს თვით რეაქციის შავ ბნელ დღეებშიაც არ დაუხრია ახლა ინტერნაციონალური დროშა, მან 92 წლის საარჩევნო კანონის დროსაც კი შესძლო გაეყვანა ქალაქის თვითმართველობაში დემოკრატიის ინტერესების ნამდვილი დამცველები, რომლებიც „განახლების ჯგუფის" სახით გაფთრებით ებრძოდნენ თვითმართველობაში გაბატონებულ პლუტოკრატიას და ყოველთვის მტერთან ბრძოლაში ნაძალადევი უმთავრეს ლაშქარს წარმოადგენდა. და აი, ახლანდელ არჩევნებშიაც იმედის თვალი ნაძალადევისაკენ იყო მიპყრობილი. ნაძალადევმა გაამართლა კიდეც იმედი, ყველაზე მეტი ხმა აქ მიიღო ს.-დემოკრატიამ.

და ამიტომ შემთხვევითი როდია ის მოვლენა, რომ განახლებული საბჭოს ს.-დ. ფრაქციის პირველი თათბირი სწორეთ ნაძალადევში მოხდა...

თეატრი გაჭედილია ხალხით. სცენაზე სხედან ს.-დ. ხმოსნები, დამსწრენი კმაყოფილების გრძნობით და გამარჯვებულის სიამოვნებით შესცქერიან თავის არჩეულებს...

თათბირს ხსნის საოლქო კომიტეტის სახელით მუშათა საქმისთვის დაუღალავი მებრძოლი ამხ. ნოე რამიშვილი. იგი ულოცავს დამსწრეთ ბრძოლაში გამარჯვებას. უსურვებს ამხანაგ ხმოსნებს ნაყოფიერ მუშაობას და მოუწოდებს დამსწრეთ მჭიდრო კავშირი იქონიონ თავის არჩეულებთან და დახმარება აღმოუჩინონ მათ...

წარმოთქვა მთელი რიგი გრძნობით სავსე მისალმების სიტყვებისა. მოიგონეს ის დღეები, როცა პირველად ჩაისახა ნაძალადევში მუშათა მოძრაობა 90-ან წლებში. მოიგონეს პიონერთა ხელმძღვანელი ზაქარია ჩოდრიშვილი და ფეხზე ადგომით პატივისცეს მის წმინდა ხსოვნას. მოიგონეს ბრძოლაში დაღუპული კეთილშობილი მებრძოლები არჩილი, სოფრიანი, ჭოლა. თვალი გადაავლეს წარსულ მუშაობას. აღნიშნეს, თუ როგორ გზავნიდენ სახ. დუმაში რევოლიუციის არწივებს ნოე ჟორდანიას, ირაკლი წერეთელს, კარლო ჩხეიძეს.

ყველას ღიმილი უკრთის სახეზე, ყველა კმაყოფილია... ნაძალადევი ზეიმობს. მან დასცა სოლოლაკი და თავის გამარჯვებას დღესასწაულობს... სოლოლაკის ადგილს ნაძალადევი იჭერს...

მისალმების შემდეგ გაიხსნა თათბირი. თავმჯდომარეთ ერთხმათ აირჩიეს ამხ. ნოე რამიშვილი, მდივნათ—აუშტროვი. იქონიეს მსჯელობა სხვადასხვა საკითხებზე.. თათბირის დასასრულს აირჩიეს ფრაქციის 8 კაცისაგან შემდგარი დროებითი ბიურო. ბიუროში არჩეულია: ნოე რამიშვილი (თავმჯდომარე) ალ. ლომთათიძე და დ. პოპოვი, (თავმჯდომარის ამხანაგებათ) პ. აზატიანი, ყარაჯიანი, სილიბისტრო ჯიბლაძე, ა. ჰაბეროვი და გერასიმე მახარაძე.

ვენი.

ქუთაისის გუბერნიის

დაწყებითი სკოლების მასწავლებელთა კავშირის გამგეობა და დირექტორ-ინსპექტორების არჩევის საკითხი.

სამ თვეზე მეტია, რაც ხსენებული გამგეობა დირექტორ-ინსპექტორების არჩევნებს დასტრიალებს და მაინც საბოლოოთ ვერაფერი გაარიგა. ამისი მიზეზი ის არის, რომ ჩვენს დიდ ქალაქ თფილისს არ უთანხმდება, წინ უსწრობს და, მეორეც—ერთხელ ყალბ გზაზე შემდგარს ვერ მოუხერხებია სწორე გზაზე გამოსვლა, თუმცა პროვინციიდან არა ერთხელ ურჩიეს საქმის გამოსწორება.

თფილისის მასწავლებელთა კრებამ მოსპო დირექტორის თანამდებობა და ინსპექტორთა კოლეგიას ჩააბარა სკოლების მოვლა-პატრონობა. ქუთაისელებს უეჭველად უნდათ, რომ ინსპექტორებთან ერთად დირექტორიც ჰყავდეთ. რისთვისაა საჭირო ეს დირექტორი, რა წაუხდებათ უმისოთ, რატომ არ ეთანხმება თფილისს—ამაზე არაფერს ამბობს. მეორე დიდი შეცდომა კიდევ ის არის, რომ ინსპექტორთა კანდიდატების დასახელებაში პარტიული პრინციპია. ოთხი პარტიაა,—ოთხი კანდიდატია, თითო პარტიიდან—თითო. მერე სადაური პრინციპით ხელმძღვანელობს, თუ ამისთანა პრინციპით ხელმძღვანელობა გონივრულია?

ეს კიდევ არაფერია—გადაწყვეტია ამ კანდიდატებს ერთად უნდა ეყაროს კენჭი... ნუ თუ ამისი დამდგენლები ვერ გრძნობენ, რომ ამისთანა კენჭის ყრა კომედიაა და სხვა არაფერი... იქნება მასწავლებელს ორი ღირსეულად მიაჩნია და ორი კი არა, მაშინ როგორ უბრძანებთ მოიქცეს მასწავლებელი?

ვთქვათ ეს კომედია გათავდა და ყველა პარტიის წარმომადგენლები აირჩიეს, შესდგა ასე ვთქვათ კოალიციური „სამინისტრო". მერე ამ „მინისტრებს" რას უპირებენ? იქნებიან ერთად ქუთაისში, თუ რაიონებში დაიგზავნებიან? მე როგორც მაქვს გაგონილი დაგზავნაა განძრახული. მაგრამ ვის რომელ რაიონში? იქნება ქუთაისელებს უნდათ გადაწყვიტონ ამისთანა მძიმე და რთული საკითხი? რომ ღმერთი გაწყრეს და მაგ., გურიას შეხვდეს ინსპექტორათ კაკარდით დაბადებული ინსპექტორი, რომელსაც შეიძლება თვალის დასანახავად ეჯავრება სოციალ-დემოკრატები, რას უპირებს ბრძენი გამგეობა გურიის მასწავლებლებს? სამხედრო წესებს გამოაცხადებს, თუ უკანვე გამოიწვევს „დაავსკათ" გათეთრებულ ინსპექტორს? არც ერთი და არც მეორე.

შემცდარი ნაბიჯი მალე უნდა გასწორდეს. დირექტორის თანამდებობა თუ თფილისში გაუქმდა—აქაც უნდა იგივე მოხდეს. ხოლო რაც შეეხება ინსპექტორებს—ისინი რაიონებმა თვითონ უნდა აირჩიონ თავისთვის, ან დარევოლიუციონურმა დროებითმა მთავრობამ თვითონ უნდა დანიშნოს, რომელიც ხელმძღვანელობს ამ შემთხვევაში არა პარტიული მოსაზრებით, არამედ ამა თუ იმ კანდიდატების პირადი ღირსებით და იმით, თუ ვის სად მეტი სარგებლობის მოტანა შეუძლიან.

საჭიროა ქუთაისის გუბერნიის მასწავლებლობამ ხმა ამოიღოს და თავისი კავშირის გამგეობის უკუღმართი ნაბიჯი დროზე დაგმოს.

მასწავლებელი.

დამფუძნებელ კრების დეპუტატთა რიცხვი.

დამფუძნებელ კრების არჩევნების გასასაზღვრავად შემდგარმა საბჭომ ივლისის 9 ის სხდომაზე დაადგინა: „დამფუძნებელ კრების დეპუტატთა რიცხვი 800 არ უნდა აღემატებოდეს. ამ რიცხვში ითვლებიან მტრისაგან დაჭერილ ადგილებიდან გამოგზავნილნი და აგრეთვე ფლოტისა და ლაშქრის დეპუტატები (პოლონეთის სამეფოს და ფინლიანდიის გარდა).

ამ დადგენილებას დროებითი მთავრობა დაამტკიცებს. სრული იმედია, რომ დროებითი მთავრობა საბჭოს დადგენილებას მოიწონებს. მაშინ რუსეთში ერთი დეპუტატი საშუალოდ 200 000 მცხოვრებზე მოვა.

რადგან ციმბირის აღმოსავლეთი მხარე მეტად თხლათ და შორი შორს არის დასახლებული, ამიტომ მათ მეტი დეპუტატები ეყოლებათ, ასე რომ ისინი 1 დეპუტატს [illegible] მცხოვრებზე გამოგზავნიან. კამჩატკაში მცხოვრებთ კი უფლება ეძლევათ 40 000 მცხოვრებზე 1 დეპუტატი აირჩიონ.

რომ დეპუტატების საერთო რიცხვი არ გადიდდეს, დანარჩენ რუსეთში თითო დეპუტატს 220 000 მცხოვრები კი არ აირჩევს, არამედ 215.000—220 000.

ვიცით რა თვითეულ გუბერნიის მცხოვრებთა რიცხვი—შეგვიძლიან გავიგოთ თუ რამდენი დეპუტატი ეყოლება ამა თუ იმ გუბერნიას დამფუძნებელ კრებაზე.

ქვემოთ ამას ცხრილიც მოგვყავს. ამასთან უნდა ვიცოდეთ, რომ გუბერნიების მცხოვრებთა რიცხვს ომში გაწვეულები არ ეთვლებიან. არ ეთვლებიან აგრეთვე ლტოლვილები იმ გუბერნიებისა, სადაც ისინი ლტოლვილან. ისინი ეთვლებიან მხოლოდ იმ გუბერნიების მცხოვრებთა რიცხვს, სადაც დასახლდნენ.

ამასთან საჭიროა ვიცოდეთ, რომ თვითეულ გუბერნიაზე—ქვემოთ მოყვანილ დეპუტატთა რიცხვის გადიდება ჯარის რაოდენობაზე იქნება დამოკიდებული, რადგან ზურგის ჯარი გუბერნიის მცხოვრებებთან ერთად აირჩევს დეპუტატებს.

დეპუტატთა რიცხვი გუბერნიებზე:

	მცხოვრებნი ათასობით.	დეპ. რიცხ.
1. არხანგელის	495	2
2. ასტრახანის	1,392	6
3. ბესარაბიის	2 520	11
4. ვილენის	2,246	10
5. ვიტებსკის	1,466	7
6. ვლადიმირის	2 008	9
7. ვოლოგდის	1 529	7
8. ვოლინის	3 057	14
9. ვორონეჟის	3 186	14
10. ვიატკის	3,380	15
11. გროდნოსი	1 137	5
12. დონის ოლქის	3 601	16
13. ეკატერინოსლავის	3 561	16
14. კაზანის	2 596	12
15. კალუგის	1 229	6
16. კიევის	4 368	20
17. კოვნოსი	1,417	7
18. კოსტრომის	1 637	8
19. კურლიანდიის	469	2
20. კურსკი	2,839	13
21. ლიფლიანდიისა.	800	4
22. მინსკის	2,709	12
23. მოგილევის	2 269	10
24. მოსკოვის) ქ. მოსკოვისა	1 584	9
)	1 654	8
25. ნიჟნი-ნოვგოროდის	1,904	8
26. ნოვგოროდის	1,446	7
27. ოლონეცის	402	2
28. ორენბურგის	2,190	10
29. ორლოვის	2,258	10
30. პენზენის	1,835	8
31. პერმის	3 578	16
32. პეტროგრადი (ქ. პეტროგ.	2 379	11
(	1,126	5
33. პოდოლის	3 874	18
34. პოლტავის	3 039	14
35. პსკოვის	1,265	6
36. რიაზანის	2 195	10
37. სამარის	3 534	16
38. სარატოვის	3 139	14
39. სიმბირსკის	1,832	8
40. სმოლენსკის	1 800	8
41. თავრიდის	1,909	9
42. ტამბოვის	3 315	15
43. ტვერის	1,942	9
44. ტულის	1 665	8
45. უფიმის	2 916	13
46. ხარკოვის	3,312	15
67. ხერსონის	3 368	15
48. ხოლმის	731	3
49. ჩერნიგოვის	2,597	12
50. ესტლანდიის	1,196	5
51. იაროსლავის	1,248	6
კავკასია.		
52. თბილისის)	1.546	32
53. ზაქათალის ოლქი)		
54. ერივანის	1.176	
55. ქუთაისის)	1.064	
56. სოხუმის ოლქი)		
57. ბაქოსი	1.395	
58. ბათომის	158	
59. ელისავეტპოლის	1.270	
60. ყარსის ოლქის	428	
61. ყუბანის ოლქი	2.814	23
62. დაღესტანის	712	
63. თერგის ოლქის	1.331	
64. შავი ზღვის	169	
65. სტავროპოლის	1.276	6
ციმბირი.		
66. ამურის ოლქი	326)	6
67. პრიმორის	556)	
68. სახალინის	42)	
69. ენისეის	998	6
70. ზაბაიკალის. ოლქი	1.072	6
71. ირკუტსკის	776	5
72. კამჩატკის ოლქი	41	1
73. ტობოლის	2.026	10
74. ტომსკის	1.473	21
75. ალტაის	2.631	
76. იაკუტსკის ოლქი	721	2
ტრამალის მხარე და თურქესტანი.		
77. აკმოლინის ოლქი	1 591	7
78. ზაკასპიის	562	2

(„სოქ.“

ეროვნული ბიბლიოთეკა

სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში

ს. ნოქალაქევში. (სენაკის მაზ.).

აქ შესდგა ადგილობრივ ორგანიზაციის რ. ს. დ. მ. პარტიის წევრთა კრება. დაესწრნენ თანამგრძნობნიც. კრება გაიხსნა 7 საათზე ლ. გაგუას თავმჯდომარეობით. მოხსენება გააკეთა ამხ. ა. ანჯაფარიძემ მიმდინარე მომენტზე. შემდეგ ილაპარაკეს ადგილობრივ კითხვებზე. კრება დაიხურა ღამის 10 საათზე.

დამსწრე ქალი.

ს. ონოღია.

17 ივლისს მოხდა სოფ. ონოღიაში კრება რ. ს. დ. მ. პ. ადგილობრივ წევრთა. კრებამ თავმჯდომარედ აირჩია ამხ. იასონ მარჯანია. თავმჯდომარე წინადადებას აძლევს არაწევრთ კრება დატოვონ. შემდეგ მიიღეს ახალი წევრები. კრებამ განიხილა შემდეგი საკითხები: მიწის, ომი და ზავი, პარტიული დისციპლინა, ეროვნული საკითხი და დამფუძნებელი კრება. მიწის საკითხის შესახებ ილაპარაკეს ამხ. ალექსანდრე გაბუნიამ და ამხ. ჯუჟუ ხურციძემ, ეროვნულ საკითხს და ომი და ზავის შესახებ ამხ. ვასო პატარიამ. დისციპლინისა და დამფუძნებელ კრების შესახებ ხტეფანე ნაჭყებიამ და სერგი ჯიქიამ. კმაყოფილი კრება ღამის 12 საათზე დაიხურა.

ხანჯანელი.

სურამი.

სურამის რაიონის რ. ს. დ. მ. პ. ორგანიზაციის დამფუძნებელი კრება მოხდა, როგორც თავის დროზე აღნიშნული იყო ჩვენს გაზეთში 7 ივნისს, რომელსაც დაესწრო 50 წევრი. ამ კრებაზე არჩეულ იქმნა ორგანიზაციის პარტიული კომიტეტი ათი კაცისაგან; შემდეგ კომიტეტმა თავისი წრიდან აირჩია ბიურო ხუთი კაცისაგან შემდგარი. ბიურომ იქირავა ლიდ ქუჩაზე მელქო ლორთქიფანიძის სახლი, შეიძინა სკამები, მაგიდა და სხვა საჭირო ნივთები, გამოსცა განცხადება პარტიაში წევრად ჩაწერის შესახებ, დანიშნა მორიგეობა კომიტეტის წევრებისაგან ყოველ დღე 5—7 საათამდე. პარტიაში ჩაწერა შეიძლება აგრეთვე ადგილობრივ აფთიაქში ყოველთვის დროს განუსაზღვრელად. 23 ივლისს მოხდა ორგანიზაციის საზოგადო კრება, რომელსაც დაესწრო 120 წევრი.

საწევრო გადასახადი კრებამ დაადგინა ის რაც თფილისმა: ერთდროულად 50 კაპ. და თვიურად 40 კ. ამხანაგმა თავმჯდომარემ გააცნო კრებას მოკლედ ბიუროს და კომიტეტის საქმიანობა და მოუწოდა დამსწრეთ მტკიცე შეკავშირებისაკენ. აღნიშნა, რომ პარტიული საქმეების მოსაწყობად და წინ გასაძღოლად საწევრო გადასახადების გარდა საჭიროა სხვა საშუალებათა მიმართვა: მოწოდებების გამოცემა, წარმოდგენების გამართვა, ლექციების კითხვის მოწყობა. ამხანაგმა მოლარემ გააცნო კრებას მოკლედ შემოსავალ-გასავლის ანგარიში და სხვათა შორის აღნიშნა, რომ ორგანიზაციისათვის შეუწირავს ამხ. ს. მამალაძეს 100 მ., ნ. ჯიბაძეს 50 მ. ჭ. ხიდიშელს 25 მ., ქ. ნინიძეს 10 მ., თვითონ დღეითგან 5 მ. ამხ. შ. ხიდეშელიშვილმა განაცხადა: საჭიროა წარმოდგენის გამართვა ამ მოკლე ხანში ორგანიზაციის სასარგებლოდ, რის თაოსნობასაც იკისრებს ჩვენი სასიქადულო ამხანაგის ევგენი გეგეჭკორის მეუღლე, რომელიც ამ ჟამად საგარაკოდ იმყოფება სურამში. კრებამ მადლობა გამოუცხადა ამხანაგ გეგეჭკორისას და აირჩია კომისია ხუთი ქალისა და კაცისაგან შემდგარი, რომელმაც დახმარება უნდა აღმოუჩინოს ევგენი გეგეჭკორის მეუღლეს საღამოს თუ წარმოდგენის გამართვაში.

მეორე კითხვად დღიურ წესრიგში აღნიშნული იყო ორგანიზაციის დამოკიდებულება ადგილობრივ აღმასრულებელი კომიტეტის არჩევნებთან, რომლის (კომიტეტის) რეორგანიზაცია ჯერაც არ მომხდარა. გამოირკვა, რომ აღმასრულებელ კომიტეტს ჯერაც არ დაუმთავრებია ამრჩეველთა სიის შედგენა, რის შემდეგაც უნდა დაინიშნოს ახალი არჩევნები. აღმოჩნდა აგრეთვე, რომ აღმასრულებელ კომიტეტს სრულიად არ უზრუნველყვია ვარდისუბნის, რომელიც ზედ ეკვრის სურამს, ამომრჩეველთა სიის შედგენისათვის. კრებამ მოითხოვა ვარდისუბნის უბანი უპირველესად შეტანილ იქნას საარჩევნო სიაში და საზოგადოდ დააჩქარონ არჩევნების დანიშვნა. მესამე საკითხად იყო დამფუძნებელი კრების არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად მოწოდება. ამხანაგებმა გაგუამ, წულუკიძემ და სხვებმა მოითხოვეს ორგანიზაციის მოქმედების არეს ახლო სოფლებში გადატანა და სოფლების ორგანიზაციულად შემოკავშირება, რისთვისაც საჭიროა პროპაგანდისტების სოფლებში გაგზავნა.

პროპაგანდისტთა კურსების დაარსებაზე ილაპარაკეს ამხანაგებმა და საჭიროდ სცნეს მისი დაარსება სურამში; თუ აღმოჩნდება, რომ პროპაგანდისტთა კურსებზე, რომელიც არსებობს ხაშურში, პრაქტიკულად მოუხერხებელი იქნება სურამიდან ამხანაგების გზავნა.

კრების დასასრულს ამხანაგმა ს. მამალაძემ განაცხადა: ამ დღეებში, როგორც ვიცით, უდროოდ გადაიცვალა აბასთუმანში ერთი საუკეთესო მებრძოლი ამხანაგთაგანი გიორგი მარსაგიშვილი და მოითხოვა ფეხზე ადგომით პატივი ეცათ მის ხსოვნისათვის და გადაგზავნილ იქმნას თანაგრძნობის დეპეშა „ერთობის" რედაქციის სახელზე. კრებამ ერთხმად მიიღო ეს წინადადება.

30 ივლისს, კვირას, უნდა მომხდარიყო საზოგადო კრება, რომელზედაც ამხანაგ ქ. სალუქვაძეს უნდა წაეკითხა ლექცია შემდეგ თემაზე: „მუნიციპალური მეურნეობა", მაგრამ რადგანაც აფიშები გვიან (30 ივლისს) გააკრეს, ამისათვის კრებას ცოტა ამხანაგები დაესწრნენ და ლექციის წაკითხვა გადაიდო სხვა დროისათვის.

ხან და მან.

პროვინციის ცხოვრება.

დ. ლაგოდეხი. დაბა ლაგოდეხში [illegible] შვილის სახელზე არის დაარსებული წიგნ-საცავ-სამკითხველო, სამკითხველო ვერ არის მოწყობილი. გამგეობას არა აქვს განსაზღვრული და დანიშნული დრო სამკითხველოს გაღებ-დაკეტვისა.

მეტ ნაწილად სამკითხველო მთელი დღე დაკეტილია. ეს დაბა თფილისიდან სულ 10—12 საათის სავალზე იმყოფება, ამიტომ აქ კარგი გამგეობის და აგენტების წყალობით, გაზეთები ყოველ დღეს საღამოობით შეიძლება მიიღონ და მეორე დილას, რამოდენიმე ასი ცალი გაზეთის გაყიდვა შეიძლება.

ქე—რა.

დ. ონი. (ზემო რაჭა). ამჟამად ზემო რაჭის სოფლებში სხვადასხვა სენით ავადმყოფობენ. მრავალი მაცხოვრებელი [illegible] ყვავილი სნეულებით. ძლიერ მოდებულია ხახადი შემდეგ სოფლებში: ბოყვს, ქვაცხუს, კვაშხიეთს და სხვა. უექიმოდ, უწამლოდ იხოცება ხალხი.

საქონლის ჭირი ხომ საშინლად მძვინვარებს და ეს გარემოება უკიდურეს მდგომარეობაში აყენებს ხალხს, ხელიდან ეცლებათ უკანასკნელი ნუგეში. სოფლად მოდიან ბეითლები, მაგრამ არას აკეთებენ, თავს იმით მართლულობენ, რომ „წამალი არა გვაქვსო". ასე უპატრონოთ მიგდებულია სოფელი და არავინ არის, რომ დახმარების ხელი გაუწოდოს.

აქვე დიდი შიმშილობაა. კილო სიმინდი (ორი ფუთი ნახევარია) 16 მანეთად იყიდება, კარტოფილი კი 25 მანეთად. ამ საშინელ სიძვირეს ხელს უწყობს დიდი გვალვა.

თვით ივლისიდან დღემდი დედამიწას წვეთი არ დასცემია. თუ ამ ცოტა ხანში წვიმა არ მოვიდა [illegible] და [illegible] ანგარიში სწორდება, რომ [illegible].

ხალხის ერთი არჩეულთაგანი.

ს. შახტახტი (ერევნის გუბ.). სოფელ შახტახტში სდგას მეექვსე კავკასიის მეშვიდე ბატალიონი. ეს ბატალიონი შესდგება რვა როტისაგან, რომლებიც სდგას სხვა და სხვა ალაგას: პირველი როტა ხაიაზეთში, მეორე—შორიგზიანში, მესამე—შორეულში, მეოთხე—შახტახტში, მეხუთე—„შახტახტში", მეექვსე—ოპაგში, მეშვიდე—ზირიანში და მერვე—კარაკლისში. ეს ბატალიონი შესდგა ნოემბრის პირველს 1916 წელს. ამ ბატალიონში არის 2,400 ჯარისკაცი. მუშაობის ცუდ პირობების და ცუდი ჰავის გამო, მეტადრე შახტახტში, ბევრი ჯ. კ. გამოესალმა წუთისოფელს. სიცხე ზაფხულობით აქ აღწევს 55 გრადუს და ითვლის მეტსაც. ისე ფიცხად კვდება ჯარისკაცი, რომ [illegible] მოჯავრონ. არის ერთი ექიმი, მ გრამ მის ნაწილში წამალი სანთლით რომ ეძიო, ვერ ნახავ. ასეთმა მდგომარეობამ იმსხვერპლა ჯარისკაცები პირველ როტიდან 100, მეორიდან—126, მეოთხიდან—126, მეხუთიდან—155, მეექვსიდან—138, მეშვიდიდან—164, მერვიდან—126. სულ 929 ჯარისკაცი.

ჩვენ, ბატალიონის კომიტეტის წევრებმა, ვცადეთ მიგვექცია ბატალიონის დასვენების შესახებ და, თუ ეს მოუხერხებელი იქნებოდა დღევანდელ პირობების გამო, დავადგინეთ: გადაყვანა ამ ბატალიონის სხვა რომელიმე ალაგას დროებით მაინც, რითაც შევამცირებდით მსხვერპლს. კიდეც ადვილად შესაძლებელია საკითხი ჯერ არის, მაგრამ ჩვენი თხოვნა დარჩა ხმა მღაღადებლისა უდაბნოსა შინა.

ამ როტებში მოწყობილია კომიტეტები, დისციპლინარული სასამართლოები. თვითეულ როტაში ბატალიონის ფულიდან გადადებულია სამკითხველოების მოსაწყობად 50 მან. ამ ფულს თვითონ ჯარისკაცებმა დაუმატეს და მათთან ოფიცრებმა მოკრიბეს თავიანთ შორის თავიანთი წვლილი. ყველა როტებში მოეწყო სამკითხველოები. ამას გარდა ეს კომიტეტი აწყობს მოძრავ სამკითხველოს ყველა როტებისათვის. უნდა აღვნიშნო, რომ ამ ბატალიონის ოფიცრებსა და ჯარისკაცებს შორის კარგი განწყობილებაა. ჯარისკაცები დიდი თანაგრძნობით ეპყრობიან ოფიცრებს და, რასაკვირველია, ისინიც აფასებენ მათ ასეთ მოქმედებას და მზად არიან ყოველთვის მათ კანონიერ მოთხოვნილებებს მხარი დაუჭირონ და დააკმაყოფილონ.

აქ არსებობს აღმასრულებელი კომიტეტი შახტახტის გარნიზონისა, რომელიც ენერგიულად მოქმედებს.

აქ არსებობს სცენის მოყვარეთა წრე, რომელიც წარმოდგენებს მართავს.

პრაპორ. დიმ. შარაშიძე.

წერილი რედაქციის მიმართ.

[illegible]

ძლიერ გამაკვირვა თქვენმა წერილმა, რომელიც მოთავსებულია გაზეთ „ერთობის" № 113, რომლითაც თქვენ მე სამედიატორო სასამართლოში მიწვევთ რაღაც ცილისწამებისათვის.

მე დიდი სიამოვნებით ვეგებები თქვენს წინადადებას და ჩემის მხრით [illegible] ვასახელებ: გიორგი მეროშვილს და ალექსანდრე მზიავას.

თამრო ხარიშვილი.

მადლობას უცხადებთ იმ პირებს, რომლებმაც შემოსწირეს თავისი წვლილი კურტანიძის ქვრივს. **ქსენია ციცქიშვილი.**

სოფ. ეწერში (ქ. სამტრედიის რაიონი) აკაკის სახელობაზე არსებულ უფასო სამკითხველოს სასარგებლოდ, ამავე სოფლის შვილმა ლავრ. ისიდ. ზამთარაძემ ქალ. ტრაპეზუნდში მოაგროვა და გამოგვცა 133 მან., რისთვისაც მადლობას უძღვნით, როგორც თვით ლავრ. ზამთარაძეს ისე ყველა დამხმარეთ.

ს. ეწრის სამკითხველოს გამგეობა.

ვსთხოვ ყველა იმ პირს, ვინც კი იცის სადმე მადნეულობის ადგილი ქუთაისის გუბ., აგრეთვე სახელი ამ მადნეულობის შემომთვლელისა მე ამასთანავე ვსთხოვ, თუ ეს შესაძლებელი იქნება, გამომიგზავნონ ნიმუში ფოსტით პატარა პაკეტებში შემდეგი ადრესით: г. Хони, кут. губ. Владиміру Павл. Чхенкели. წინ და წინვე უღრმეს მადლობას ყველას ვინც კი რაიმე დახმარებას გამიწევს ამ საქმეში სიტყვით თუ საქმით. სხვა გაზეთებს ვსთხოვ გადაბეჭდონ. (ადგილი მადნეულობის უნდა იყვნეს ნაჩვენები ასე: გუბერნია, მაზრა სოფელი. რკინის გზა რამდენზე ახლავს და სხვა).

ამხან. სალამ. ვ. ჩხენკელი.

მადლობას უცხადებთ თეოფილე სიოს ძე თალაკვაძეს, რომელმაც მისი მამის სიოს ა—ძე თალაკვაძის ხსოვნის აღსანიშნავად შემოსწირა ახალ-მთისპირის წიგნთ-საცავ სამკითხველოს ხუთი თუმანი (50 მ.) აგრეთვე მადლობა ილია ს—ძე თალაკვაძეს, რომელმაც გამოუწერა ამავე სამკითხველოს გაზეთი „საქართველო" და შემოსწირა ათი მანეთი (10 მანეთი).

ახალ-მთისპირის უფასო წიგნთ-საცავ სამკითხველოს გამგეობის წევრი პატრიკი თალაკვაძე.

მადლობას უცხადებთ ყველა იმათ, ვინც შემოსწირეს ე. ნინოშვილის საფლავთან ახლად დაარსებულ მისივე სახელობის სამკითხველოს. სულ მივიღეთ 101 მ. 95 კ.

გამგე აბესა მოისრაფიშვილი.

ცნობები

ჯარისკაცთა შესახებ.

მაქლის განმანაწილებელ პუნქტში მოიყვანეს შემდეგი დაავადმყოფებული ჯარისკაცები:

ჩაკვეტაძე ისმაილ კონსტანტინეს ძე, ჯგენაშვილი არჩილ ნიკოს ძე, მეცხრიძე [illegible] იონასის ძე, სურგულაძე სამსონ ივანეს ძე, სამხარაძე ფილიმონ სიმონის ძე, სულიაშვილი ვლადიმერ ანთიმოზის ძე, აბესაძე პეტრე დავითის ძე, მახარაშვილი დიმიტრი სოლომონის ძე, მაღრაძე მელიტ ქრისტესის ძე, შელიაძე სამსონ პავლეს ძე, თითაძე ალიკო მათეს ძე, პაპუნია ნიკოლოზ დავითის ძე, შენგელია იაკობ ეგორის ძე, ტორბაძე ილია ნიკოს ძე, დუმბაძე ვასილი ივანეს ძე, სანაია ლევან ბესარიონის ძე, ხოშტარია ალექსანდრე ნესტორის ძე, [illegible] პეტრე ხუტიას ძე, მაღლაკია ივანე ნიკოს ძე, როგავა ეგნატე გიორგის ძე, მანჯავიძე გიორგი არსენის ძე, [illegible] ალექსის ძე, მელიქიშვილი მიხეილ დიმიტრის ძე, საღინაშვილი მიხეილ ყარამანის ძე, ჩოლოშვილი ზაქარია გიორგის ძე, ბოჭორიშვილი სერგო ლაზარეს ძე, ბეჟანიშვილი არჩილ იაკოვის ძე, ქინქლაძე ილია ალექსანდრეს ძე, მარჩანელი შოთა [illegible] ძე, მამასახლისოვი ქერა პავლეს ძე, გოცირიძე ივანე სოლომონის ძე, მაღარაძე მიხეილ დავითის ძე.

ბ. ჭანტურია.

— ვალერიანე ლუარსაბის ძე იერემაშვილი მსახურობდა ცხენოსანთა ჯარში მე 9 „ულანის" პოლკში, მე-2 „ესკადრონში". გთხოვთ გვაცნობოთ ამ მისამართით:

ქ. გ. რაიონის სად. ლუარსაბ ჯრამაშვილი.

— ალექსანდრე ალექსის ძე ტაკიძე მსახურობდა დ. არზრუმში რკინის გზის მუშების ოტრიადში. გთხოვთ თუ ვინმემ იცის სად იმყოფება გვაცნობეთ შემდეგი მისამართით:

სად. ლანჩხუთი, ს. [illegible] მ. კოლხიშვილი.

— ჯარისკაცი ალექსანდრე რისპას ძე ხურციძე მსახურობდა მე-204 ე არდაგანის მიხაილოვის პოლკში. თუ ვინმემ რამე იცის მის შესახებ გვაცნობეთ.

Ст. Шорапань В. Хелидзе.

— კირილე ივანეს ძე ჭელიძე მსახურობდა მე-13-ე კავკასიის მსროლელთა პოლკში მე 8-ე როტაში 1 გუნდში. გთხოვთ გვაცნობოთ ამ მისამართით:

რაიონის სადგური. ლუარსაბ ჯრამაშვილს.

ჩვენი ფოსტა.

ჯ.-ქ. ილარიონ ერქვანიას. თქვენი განცხადებისათვის 12 მანეთი მივიღეთ. გთხოვთ შეგვატყობინოთ მისი დანიშნულება.

ბართლომე გაბელიას—ძველი სენაკი. უფასოდ კორესპონდენტივით გაზეთი 15 ივლისიდან მიიღის.

იოსებ ჭეიშვილს. თქვენი განცხადება მივიღეთ 3 ივლისს.

ქ უ თ ა ი ს ი

ექიმ გ. ი. გოკიელის

ელექტრონისა და სინათლის სამკურნალო კაბინეტი, შინაგანი ნერვებისა და ვენერიული ავადმყოფთათვის, ავადმყოფებს მიიღებიან დილის 9—12 საათ. და სა 6—8 დ. საათამდე

ექიმის თანაშემწე

ვლ. ი. თავართქილაძე

ღებულობს ავადმყოფებს ყოველ-დღე საღამოს 4—6 საათამდე. ყვავილის აცრა, კანს ქვეშ წამლის შეშხაპუნება, მასსაჟი და ელექტრიზაცია. ტექნიკური ქუჩა, №

ექიმი ა. დ. კეკელია

იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე საღამოთი 6—8 საათამდე. კანის, ვენერიულ და ათაშანგით (სიფილისი) (606-ს და 914-ს შეშხაპუნება) ავადმყოფებს. მიხეილის პროსპექტი № 116, სასტ. „ნოის" პირდაპირ.

ექიმი პ ი გვარჯალაძე

შინაგან და ბავშვთა სნეულებათა ავადმყოფებს მიიღებს ყოველდღე საღამოს 6—7 ს., კვირა დღის გარდა.

[illegible] ქუჩა, № 4, სასტუმრო [illegible]. ტელეფ. 15—00.

ქ უ თ ა ი ს შ ი

ექიმი **ვალერიან ლორთქიფანიძე**

იღებს შინაგან, ბავშვთა და ნერვების სნეულებით ავადმყოფებს ყოველ დღე. დილის 11—2 საათამდის, საღამოს 7—9 საათამდე.

პუშკინის ქუჩა, ვიტუშინსკი სახლში.

ექიმი მ. გ. ვეფხვაძე

ტომსკის უნივერსიტეტის ვენერიულ კლინიკის ორდინატორად ნამყოფი იღებს ავადმყოფებს კანისა და ვენერიულის სნეულებით ყოველ დღე 3—5 ნახ. საათამდე, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ, [illegible] ქუჩა, № 19.

ექიმი გ. გ. მუხაძე

იღებს [illegible] ავადმყოფებს საღამოს 5—6 საათამდე კვირა დღის გარდა, მისამართი: დიდი მთავრის ქუჩა № 67; [illegible] ტელეფონი № 5—17.

ჯარის კაცი

მაკარი კიმოთის ძე ლათათია

მსახურობდა კავკასიის მოქმედ ჯარში (ქ. ბათუმში) მე-221 სათადარიგო ქვეითთა პოლკის მე 13 როტაში, 3 ვზვოდში. შვიდი თვეა მისგან არავითარი ცნობა არ მიგვიღია. ვსთხოვთ ყველას თუ ვინმემ რამე იცის მის შესახებ, გვაცნობოთ შემდეგი ადრესით: с. Кицхи (Кут. г. Зугдидскаго уѣз. Цаленджь. уч.), Кимсте Лататія. რისთვისაც ის მიიღებს შესაფერ ჯილდოს.

გამოცემანი

ბათუმის კომიტეტისა რ. ს.-დ. მ. პ.

გამოვიდა რუსულ ენაზე:

1) საყოველთაო საარჩევნო უფლებაზე—საბჭოების რედაქციით	15 კ.
2) რას იძლევა დემოკრატ. რესპ. ა. მ.	10 „
3) რას ასწავლის მუშებს ცხოვრება—ვოლოდინის	15 „
4) მუშათა განთავისუფლება თვით მუშათა საქმეა—მ. სამოილოვის	10 „
5) რა არის მუშათა პარტია—ს. მიხაილოვის	10 „
6) როგორ უნდა მოიპოვონ გლეხებმა მიწა?—პ. მასლოვის	25 „
7) ვინ რით ცხოვრობს—დიკშტეინის	25 „
8) მუშათა მიზანი რევოლუციაში—ა. ბოგდანოვის	20 „
9) შრომა და კაპიტალი—ნეიდერსის	35 „
10) ძირს სოციალ-დემოკრ.—ნ. გრაკვის	10 „
11) ომობა და მუზი—ვ. ლიბკნეხტის	10 „
12) სოც.-დემოკ. მიზანი—ა. ბებელის	10 „
13) რა უნდა ვუქნათ მიწას? პ. მასლოვის	15 „
14) კლასი კლასის წინააღმდეგ—ლ. მარტოვის	15 „
15) ს. დ. პროგრამა რუსულ, ქართულ, ბერძნულ, სომხურ და თათრულ ენებზე	10 „
16) მუნიციპალური პლატფ. რ. ს.-დ. მ. პ.	10 „

ქართულ ენაზე:

1) ჩვენი მიზანი—ვ. ლიბკნეხტისა	35 „
2) რა აზრის არიან სოც.-დემ. და სოც.-რევ. მიწის შესახებ სტ. დიოშევსკის და რა უნდა ვუყოთ მიწას—პ. მასლოვის	30 „
3) მუშათა განთავისუფლება თვით მუშათა საქმეა—სამოილოვის	20 „
4) კლასი კლასის წინააღმდეგ—ლ. მარტოვის	15 „
5) ოთხი ძმა	30 „
6) მუნიციპალური პლატფორმა ს.-დ.	15 „

იბეჭდება რუსულ ენაზე:

1) რა აზრის არიან ს.-დ. და ს.-რ. მიწის შესახებ დიოშევსკისა	20 „
2) და რა უნდათ ს.-დემ. ვ. ლეგიენის	20 „

არის აგრეთვე გასაყიდად, ქართ. ენაზე:

1) სოც.-დემოკრატია, დემოკრატია და სოც.-დემ. და სოც.-რევოლუციონერები—ნოე ჟორდანიასი.	30 „
2) სოც.-დემ. და ქალაქის თვითმართველობა	20 „
3) რა არის დამფუძნებელი კრება—ვ. ხურცილავის	25 „
4) კომუნისტური მანიფესტი (რუსულ ენაზე)—	20 „

გამოწერა შეიძლება შემდეგი ადრესით: Батумъ, Морская № 3, (бывшій д. губернатора) бюро соц.-дем.

ვინც გამოიწერს არა ნაკლებ 50 ც. დაეთმობათ 20%.

ჯარის-კაცი

იაკობ ბესუს ძე მებონია

მსახურობდა ქ. ბათუმში 281 სათადარიგო პოლკის 11 როტაში, 1 ზვოდში, თუ ვინმემ რამე იცის მის შესახებ ვსთხოვთ შეგვატყობინონ შემდეგი ადრესით: с. Кирцхи (Зуг. уѣз.) Соломону Изорія.

გრძელდება ხელის მოწერა 1917 წლისათვის გაზეთ

ერთობა-ზე.

გაზეთის ფასი როგორც თფილისში, ისე პროვინციაში

ერთი თვით **2 მ. ნ. 60 კაპ.**, ცალკე ნომერი **12 კაპ.**

გაზეთის ფასი ხელის მომწერ. წინდაწინ უნდა გადაიხადონ, ნისიად არავის გაეგზავნება.

ფოსტით ხელის მომწერლებმა ფული შემდეგი ადრესით უნდა გამოგზავნონ: ТИФЛИСЪ, ПОЧТОВЫЙ ЯЩИКЪ № 199.

თფილისის ხელის მომწერლებმა ფული უნდა შეიტანონ კანტორა „განათლება"-ში ოლღას ქუჩა, № 6.

16 ივლისიდან თფ. გამოდის ქართულ ენაზე ყოველ-კვირეული ჟურნალი

სოფლის მუშა

ჟურნალის გამოწერა, ფული და წერილი მიიღება შემდეგი მისამართით: თფილისი. სახელი, სპარსეთის დაღმართზე, იოსებ გიორგის ძე ირემაშვილს. გამოწერის ფასი წლით 10 მან. ნახევარი წლით—5 მან., 3 თვით—2 მ. 50 კ. 1, თვით—80 კ.

Съ 4-го мая въ г. Тифлисѣ выходитъ ежедневная газета на русск. языкѣ

БОРЬБА

Органъ Закавк. Областнаго и Тифлисскаго Комитетовъ Россійской Соц.-демократической Рабочей Партіи.

Подписка какъ городская, такъ и иногородная принимается въ конторѣ „Ганатлеба" (Ольгинская № 6). Деньги для подписки адресовать: Тифлисъ, почт. ящ. 96 Сильвестру Ремановичу Таварткиладзе.

Корреспонденціи и статьи направлять по адресу: Тифлисъ, Головинскій пр. № 12 для редакціи «Борьба».

Подписная цѣна до конца года 9 р., 3 м. 5 р. 50 к., 1 мѣс. 2 р.

[illegible]

განათლება

[illegible]

[illegible] ადრესით: ТИФЛИСЪ ПОЧТОВЫЙ ЯЩИКЪ № 96, СИЛЬВЕСТРУ Р. ТАВАРТКИЛАДЗЕ. [illegible] ОЛЬГИНСКАЯ 6. ТАВАРТКИЛАДЗЕ. Телеф. № 3—44.

[illegible] № 1